პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

შაბათი, 19 იანვარი, 1952 წ. № 16 (9176). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში

პროპაგანდისტთა სემინარი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველოს მეცნიერები კომუნიზმის დიად მშენებლობებს (1-ლი გვერდი).
დონბასელ და ტყიბულელ მეშახტეთა შეჯიბრება (1-ლი გვერდი).
აზერბაიჯანის აბრეშუმის მრეწველობაში ნერგავენ ც. ღლონტის მუშაობის მეთოდს (1-ლი გვერდი).
საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტში (1-ლი გვერდი).
ახალი ტექნიკის გამოყენების საკითხი საქალაქო კომიტეტის პლენუმზე (მე-2 გვერდი).
1952 წელს სტალინის სახელობის სამგოლარის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე (მე-2 გვერდი).
გ. სიხარულიძე—ვ. ი. ლენინი—ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორი (მე-2 და მე-3 გვერდი).
არტელები დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ, ფასებს ამახინჯებენ (მე-2 გვერდი).
მოწინავე კოლმეურნეობა (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ენერგეტიკული ინსტიტუტის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).
ა. ი. ვიშინსკის საუბარი ფრანგ მეცნიერთა — სორბონის პროფესორთა დელეგაციასთან (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## პროპაგანდისტთა სემინარი

პარტიული პროპაგანდის შინაარსიანად მოწყობა, მისი იდეური დონის შემდგომი ამაღლებისათვის ყოველდღიური ზრუნვა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პარტიული ორგანიზაციების მიერ ამ მოვალეობის წარმატებით შესრულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პროპაგანდისტთა კადრებზე, მათს თეორიულ მომზადებასა და მეთოდურ დახელოვნებაზე. აქედან გასაგებია, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ პარტიულ ორგანიზაციებს პროპაგანდისტთა შერჩევის, განაწილების და მათდამი ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმეში.

პროპაგანდისტებისათვის დახმარების ძირითად ფორმას სემინარი წარმოადგენს. პროპაგანდისტთა სემინარი, თუ ის შეუფერხებლად და მაღალიდეურ დონეზე მუშაობს, გადამწყვეტ როლს ასრულებს პროპაგანდისტთა თეორიული დონის ამაღლებასა და მეთოდურ დახელოვნებაში. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებას, იბრძოდნენ იმისათვის, რომ სემინარის ყოველი მეცადინეობა ზრდიდეს პროპაგანდისტთა კადრების შემოქმედებითს ინიციატივას, მათს პასუხისმგებლობას მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის ისტორიულ დადგენილებაში „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ აღნიშნავდა, რომ „სემინარი არ შეიძლება პროპაგანდისტთა „თავის გამოტენის“ ადგილს წარმოადგენდეს. მეცადინეობა პროპაგანდისტთა სემინარებში დაყენებულ უნდა იქნას ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სემინარის თვითეული მონაწილის შემოქმედებითი მუშაობა, წარმოებდეს თეორიულ საკითხთა ცოცხალი განხილვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამხანაგური დისკუსია თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე“.

წინა წლებთან შედარებით წელს პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობა უფრო ორგანიზებულად და შინაარსიანად მიმდინარეობს. ეს იმითაც უნდა ავხსნათ, რომ ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დახმარება პროპაგანდისტებისადმი, უკეთესად მოეწყო სემინარების მუშაობა.

კარგად მუშაობენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომთან შექმნილი პროპაგანდისტთა სემინარები. სემინარის ყოველი მეცადინეობა აქ ნამდვილად ამაღლებს პროპაგანდისტთა იდეურ-თეორიული მომზადების დონეს, ზრდის მათს მეთოდურ ოსტატობას. სემინარების მუშაობის მაღალ იდეურ დონეს იმის შედეგად აღწევენ, რომ ყოველ მეცადინეობას ბეჯითად ამზადებენ. სემინარის ხელმძღვანელები თვითეული თემის წინასწარ გულდასმით მომზადებით როდი კმაყოფილდებიან. მეორეი მეცადინეობის წინ ისინი ერთად იკრიბებიან, აზუსტებენ მეცადინეობის გეგმას, მსჯელობენ ორგანიზაციულ და მეთოდურ საკითხებზე, ახდენენ გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. პარტიის რაიკომი ცალკეული თემების მიხედვით როგორც პროპაგანდისტთა, ისე მათი სემინარის ხელმძღვანელთა დასახმარებლად აწყობს ლიტერატურის გამოფენას. მეცადინეობისათვის ნაყოფიერად მზადება გაელენას ახდენს სემინარის მუშაობაზე. ყოველი მეცადინეობა პროპაგანდისტთა აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს. კარგი მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევა პროპაგანდისტთა ის სემინარი, რომელსაც პედსასწავლებლის დირექტორი ე. ხევსურიანი ხელმძღვანელობს. ამ სემინარის თვითეული მსმენელი ბეჯითად მუშაობს თავისი თეორიული მომზადების დონის ასამაღლებლად. ისინი ხშირად გამოდიან თეორიული მოხსენებებით, აყენებენ ახალ საკითხებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ამხ. ხევსურიანი განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს იმ პროპაგანდისტებთან, რომლებსაც წელს პირველად დაეკისრათ ამ საპატიო მოვალეობის შესრულება. მათ დასახმარებლად აწყობს დამატებით მეცადინეობას თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე, მიდის ადგილებზე და ეხმარება ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. ის ხშირად ესწრება პოლიტსკოლების მეცადინეობას და სემინარის მეცადინეობაზე განაზოგადებს ცალკე პროპაგანდისტთა გამოცდილებას.

პარტიის რაიკომის ბიურო ხშირად მსჯელობს პროპაგანდისტთა სემინარის, წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობის საკითხებზე, სახავს ღონისძიებებს და სისტემატურად ამოწმებს მათს შესრულებას.

მაგრამ ყველა პარტიული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას როდი აქცევს სემინარების მუშაობის მაღალ იდეურ დონეზე მოწყობას, პროპაგანდისტებისადმი დახმარებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომს მიმდინარე სასწავლო წელს ერთხელაც არ განუხილავს პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობის საკითხი. ეს მაშინ, როცა აქ სემინარების მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით პროპაგანდისტთა იმ სემინარში, რომელსაც ა. კაჭკაჭიშვილი ხელმძღვანელობს, 15 პროპაგანდისტი დღემდე არც ერთ მეცადინეობას არ დასწრებია. დაბალია ამ სემინარის მუშაობის იდეური დონეც. სემინარის მსმენელები იშვიათად გამოდიან თეორიული მოხსენებებით, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საკუთარი თეორიული დონის ასამაღლებლად. არის სემინარის მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს თბილისის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტთან არსებული პროპაგანდისტთა ზოგიერთი სემინარი. მაგალითად, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლელი მაღალი ტიპის წრეების პროპაგანდისტთა იმ სემინარის მეცადინეობაზე, რომელსაც ამხ. დ. ბუდილავი ხელმძღვანელობს, სისტემატურად არ ცხადდება პროპაგანდისტთა დიდი ნაწილი. ამასთან ამხ. ბუდილავი ვერ ესწრება წრეების მეცადინეობას ადგილებზე, რის გამო ვერ აწყობს პროპაგანდისტთა გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

დაგმობილ უნდა იქნას ისეთი პრაქტიკა, როცა ცალკეული პარტიული ორგანიზაციები პარტიული განათლებისადმი ხელმძღვანელობას კამპანიურად ეწევიან. ცოტა როდია ისეთი მაგალითი, როცა ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციას ეს საქმე სასწავლო წლის დაწყებისას ან დამთავრებისას აგონდება.

მთელი საბჭოთა ხალხი ძალების დაუზოგავად იბრძვის კომუნიზმის დიადი შენობის აგებისათვის. ეს კიდევ უფრო ზრდის პარტიული ორგანიზაციების როლს კადრების რევოლუციური იდეებით აღზრდის საქმეში.

ამოცანა ის არის, რომ კადრები მარქსიზმ-ლენინიზმს სწავლობდნენ შემოქმედებითად. ჩვენი პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლას უკავშირებდნენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. პარტიული პროპაგანდა ერთ-ერთ ძირითად ამოცანად უნდა ისახავდეს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების ძირფესვიანად აღმოფხვრას, აღვივებდეს სოციალისტური საშრომლოსადმი სიყვარულს.

„რევოლუციური თეორიის შემოქმედებითად შესწავლა უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ შევისწავლოთ მარქსიზმ-ლენინიზმი მოქმედებაში, ბეჯითად ვეუფლებოდეთ მარქსისტულ-ლენინურ მეთოდს და შეგვეძლოს გამოვიყენოთ ეს მეთოდი საზოგადოებრივი მოვლენების შეფასებაში, კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში. ბოლშევიკი პროპაგანდისტი მოვალეა ისწრაფვოდეს, რომ ყოველმა მსმენელმა ნათლად დაინახოს და ზედმიწევნით შეიგნოს ამა თუ იმ თეორიული დებულების აქტუალობა ახლანდელი დროისათვის. თეორია უნდა ეხმარებოდეს ჩვენს კადრებს პრაქტიკის გააზრებასა და განზოგადებაში“ („პრავდა“).

ჩვენი კადრების—კომუნისტებისა და უპარტიოების — მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღება პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ ამოცანის ბოლშევიკურად გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თუ როგორ ზრუნავენ პარტიული ორგანიზაციები პროპაგანდისტთა კადრებზე, მათს მაღალ იდეურ დონეზე.

## ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეათე ტომი ენაზე

**პეტროზავოდსკი**, 17 იანვარი. (საკან.). კარელია-ფინეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ფინურ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეათე ტომი.

რუსული გამოცემიდან თარგმანი შესრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის კარელია-ფინეთის ფილიალმა.

# ჩვენს რესპუბლიკაში

★

## დონბასელ და ტყიბულელ მეშახტეთა შეჯიბრება

**ტყიბული.** (საკ. კორ.). დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ დონბასელ და ტყიბულელ მეშახტეებს. ამ ორი აუზის საუკეთესო შახტებს, უბნებს და წარჩინებულ მეშახტეებს რეგულარული ურთიერთკავშირი აქვთ და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მდიდარ საწარმოო გამოცდილებას.

ახალწლის წინადღეებში ლენინის სახელობის შახტის მეშახტეებმა „სვერდლოვუგოლის“ ტრესტის № 63 შახტის კოლექტივს გაუგზავნეს წერილი, რომლითაც დონბასელ მეგობრებს აცნობეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდება და წლიური საწარმოო პროგრამის შესრულება.

დონბასიდან მიღებულია სიპასუხო წერილი, რომელშიც დონბასელი მეშახტეები თავიანთ ტყიბულელ მეგობრებს ულოცავენ მოპოვებულ გამარჯვებას, ამასთანავე იტყობინებიან, რომ წლიური გეგმის გადამეტებით მათ ამოიღეს 80 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ანტრაციტი, ნაცვლად ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ნაკისრი 40 ათასი ტონისა. დონბასელები აგრეთვე იწერებიან, რომ მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით მათ გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს.

ორივე შახტის კოლექტივმა სურვილი გამოთქვა წელსაც განაგრძონ სოციალისტური შეჯიბრება.

## 220 ჰექტარი ახალი ვენახები

**თელავი.** (საკ. კორ.). შარშან თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა 160 ჰექტარი ახალი ვენახები გააშენეს.

წელს გადაწყვეტილი აქვთ გააშენონ კიდევ 220 ჰექტარი ახალი ვენახი. ამ მიზნით გზაფხულზე სამ მილიონამდე ცალ ნამყენ ვაზს გამოიყენენ. დამუშავებული იქნება „რქაწითელი“, „მწვანე“, „საფერავი“, „კაბერნე“, „ალექსანდრეული“, „უსახელოური“ და „ხიხვი“. მყნობისათვის კოლმეურნეობები წარმატებით ემზადებიან.

ახალი ვენახების გასაშენებლად უკვე მომზადებულია 100 ჰექტარი პლანტაჟი.

**თბილისი. ქალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა.** სახარატო საამქროს მოწინავე ხარატი ალექსანდრე ხვადაგიანი სტახანოვური მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევა, დეკემბრის გეგმა 205 პროცენტით შეასრულა. **სურათზე:** ა. ხვადაგიანი და ხარისხის ოსტატი ლ. მელნიკოვა ამოწმებენ დამუშავებული დეტალის ხარისხს.
ფოტო რ. აკოფოვისა

## აზერბაიჯანის აბრეშუმის მრეწველობაში ნერგავენ ც. ღლონტის მუშაობის მეთოდს

ჟურნალ „ტექსტილნაია პრომიშლენოსტის“ 1951 წლის სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია ა. ზახარიანის სტატია „ფართოდ გავავრცელოთ შრომის მოწინავე მეთოდები“, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ ინერგება აზერბაიჯანის აბრეშუმის მრეწველობაში ქ. მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის ნოვატორის ციალა ღლონტის მუშაობის მეთოდი.

1950 წლის ნოემბრიდან აზერბაიჯანელმა აბრეშუმის ძაფის ამომხვევებმა ციალა ღლონტის მაგალითისამებრ აითვისეს ორივე ხელით მუშაობის ახალი, მოწინავე მეთოდი. ც. ღლონტის მეთოდით მუშაობა პირველებმა დაიწყეს მარგო ჯანგირიანმა, ჯულიეტა სარქისიანმა, გიულუზარ ატაკიშიევამ, ვალია მირზოიანმა და სხვებმა, რომლებმაც ნორმების შესრულება ამის შემდეგ 5-დან 12 პროცენტამდე გაადიდეს. ამჟამად ორივე ხელით მუშაობს დაახლოებით 100 ძაფისამომხვევი. ახალი, მოწინავე მეთოდის დანერგვის შედეგად პროდუქციის რაოდენობის გადიდებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხარისხიც. 1951 წლის პირველ ნახევარში 1950 წელთან შედარებით პირველი ხარისხის ხამი აბრეშუმის ძაფის გამოშვება გადიდდა 9,6 პროცენტით, მოწყობილობის წარმადობა გაიზარდა 2,8 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 7,1 პროცენტით.

ძაფისამომხვევები, რომლებმაც ახალი მეთოდით მუშაობა აითვისეს, თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ სხვებს.

## რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

**წალკა.** (სპეც. კორ.). უკანასკნელ წლებში რაიონის ცენტრის კეთილმოწყობად გაწეულია სერიოზული მუშაობა. ვიწრო და ტალახიანი ქუჩების ნაცვლად ახლა ორი ფართო ასფალტირებული მთავარი ქუჩაა. ცენტრში მოწყობილია მშვენიერი ბაღი-სკვერი, სადაც დადგმულია დიდი სტალინის მონუმენტი.

მთავარ ქუჩაზე, ბაღის პირდაპირ აშენებულია პარტიის რაიონული კომიტეტის ადმინისტრაციული სახლი. მაღაზიების ძველი შენობების ნაცვლად ახლა ცენტრს ამშვენებს ახლადაშენებული, სანიმუშოდ მოწყობილი რაიონული მაღაზია, კულტმაღაზია, საპარიკმახერო, სასადილო და სხვ. დამთავრდა ორსართულიანი საცხოვრებელი ბინის მშენებლობა, რომელიც 416.000 ათასი მანეთი დაჯდა.

## საქართველოს მეცნიერები კომუნიზმის დიად მშენებლობებს

ერთი წლის წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა კომუნიზმის დიადი მშენებლობების ხელმძღვანელი რესპუბლიკური კომიტეტი. კომიტეტმა თავის გარშემო შემოიკრიბა ფართო სამეცნიერო ძალები და შეიმუშავა გეგმა. გეგმა ითვალისწინებს მთელი რიგი ისეთი საკითხების მეცნიერულად შესწავლას და გადაჭრას, რომლებსაც უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის დიად ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის.

15 იანვარს შედგა კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელშაც მოისმინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის კ. ზავრიევის საანგარიშო მოხსენება კომიტეტის მიერ 1951 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკურმა კომიტეტმა დასახული გეგმის მიხედვით თავის სამეცნიერო სექციების მეშვეობით 1951 წელს შეისწავლა და დაამუშავა 5 სამეცნიერო თემა. გარდა ამისა შესწავლილია მრავალი სხვა თემის ცალკეული საკითხები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტმა, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტმა, ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, აგრეთვე რესპუბლიკის ზოგიერთმა საპროექტო და საწარმოო-სამშენებლო ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის რაციონალური სამშენებლო კონსტრუქციების შესაქმნელად, სამშენებლო სამუშაოთა წარმოების რაციონალური მეთოდების შესამუშავებლად, ყარა-ყუმის უდაბნოს ქვიშისა და ყარადაღის ტრასის საშენ მასალად გამოყენების, აგრეთვე თურქმენეთის მთავარი არხის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სეისმომდგრადობის პრობლემების შესასწავლად და გადასაწყვეტად. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტი და ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი მუშაობენ ახალი დიდი ჰიდროელექტროსადგურებისა და საწარყავი სისტემების ექსპლოატაციის ამოცანებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად.

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში წარმატებით სწავლობენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენების საკითხებს. არხებსა და წყალსატევებში წყლის გაჟონვის საწინააღმდეგო ღონისძიებებს იკვლევენ საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტმა, სამშენებლო საქმისა და სხვა ინსტიტუტებმა უშუალო კავშირი დაამყარეს კომუნიზმის დიად მშენებლობათა კოლექტივებთან, მშენებლობის ცალკეულ უბნებზე თავიანთი მუშაკები მიავლინეს ადგილობრივ დახმარების აღმოსაჩენად. განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი არის დამყარებული თურქმენეთის მთავარი არხისა და სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლებთან. თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზე მივლინებული იყვნენ პროფესორი ი. შტაერმანი, დოცენტი პ. წულუკიძე და სხვები, რომლებმაც სერიოზული მუშაობა გასწიეს ადგილობრივი საშენი მასალების შესასწავლად და მდინარე ამუდარიის დალექვის გამოსაკვლევად.

ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო ძალები, — თქვა დასასრულ მომხსენებელმა, — დიდი ხალისით მუშაობენ კომუნიზმის დიად მშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემებ-ს გადაწყვეტაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი წელს წარმატებით დაამთავრებენ იმ 17 თემის დამუშავებას, რომელთა შესწავლამ მნიშვნელოვანწილად წაიწია წინ შარშან.

კომიტეტის საანგარიშო მოხსენების შემდეგ სხდომამ მოისმინა სამშენებლო საქმის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკის ზ. წილოსანის ინფორმაცია თურქმენეთის მთავარი არხის ბეტონის სამუშაოებისათვის ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენების შესასწავლად გაწეულ მუშაობაზე. ბეჯითი მუშაობის შედეგად საქართველოს მეცნიერ მუშაკებმა ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

მდინარე ამუ-დარიაზე ტახია-ტაშის კაშხალის ზემო ბიეფის დალექვის კვლევა-ძიებაზე გაწეული მუშაობის შესახებ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა სტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი გ. მოსტკოვი. ამ საკითხის შესწავლით საქართველოს მეცნიერ მუშაკებმა დიდი წვლილი შეიტანეს თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაში.

სხდომამ მოისმინა აგრეთვე პროფესორ ი. შტაერმანის მოხსენება თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის ბეტონის სამუშაოებში ყარაყუმის უდაბნოს ქვიშის გამოყენებისა და დოცენტ მ. ნეტკაჩოვის მოხსენება ჩრდილოეთ ყირიმის არხის მშენებლობაზე სილიკატური ცემენტის ეკონომიის მიზნით ყარადაღის ტრასის გამოყენების საკითხთა შესასწავლად გაწეულ მუშაობაზე.

დასასრულ სხდომის მონაწილეებს თავიანთი გამოკვლევების შესახებ მოუთხრეს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ლაბორატორიის გამგემ ი. ოვოდოვსკიმ, მეცნიერ მუშაკმა ხ. აბვერდოვმა და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. მეჩიტოვმა.

## საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტში

### თვითეულ გამოშვებულ ნაწარმზე ლითონის ხარჯვის შემცირებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ

სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდა მუშებმა და სპეციალისტებმა წინადადება წამოაყენეს დაიწყოს სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ ნაწარმზე ლითონის ხარჯვის შემცირებისათვის.

ამ შეჯიბრებაში ჩაება სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მთელი კოლექტივი. ქარხანაში იქმნება მუშათა, ტექნოლოგთა და კონსტრუქტორთა კომპლექსური შემოქმედებითი ბრიგადები, რომლებიც თვითეულ გამოშვებულ ნაწარმზე ლითონის ხარჯვის შემცირების ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად წყვეტენ წარმოების ტექნოლოგიური პროცესების, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნაწარმის დამზადების შრომატევადობის შემცირების საკითხებს.

მოიწონა რა სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშათა, ტექნოლოგთა და კონსტრუქტორთა წინადადება, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტმა დაავალა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოთა პარტიულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და სამეურნეო ხელმძღვანელებს მოაწყონ ფართო სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ გამოშვებულ ნაწარმზე ლითონის ხარჯვის შემცირებისათვის.

## ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

17 იანვარს ა. დ. პოპოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის მორიგი პლენარული სხდომა.

კომიტეტის წევრები გაეცნენ 1951 წლის სტალინური პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ მუსიკალურ ნაწარმოებებს. მოსმენილ იქნა დიდი საინსტრუმენტო თხზულებანი, ორატორიები, კანტატები, საფორტეპიანო კონცერტები და სიმფონიური პოემები. (საკდესი).

## ქარხანაში, რომელიც ლენინის სახელს ატარებს

**ლენინგრადი**, 16 იანვარი. (საკდესი). ნევის ნაპირზე, იმ ადგილას, სადაც ოდესღაც შლისელბურგის ტრაქტი გადიოდა, თუჯის გალავნის გადალმა აღმართულია შენობა, რომელსაც კუთხეებში კოშკები აქვს. ეს არის ერთ-ერთი კორპუსი ნევის მანქანათმშენებელი ქარხნისა, რომელიც ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს. შენობის წინ გრანიტის კვარცხლბეკზე დადგმულია ვლადიმერ ილიას-ძის ბრინჯაოს ფიგურა.

ქარხნის კოლექტივი სამართლიანად ამაყობს იმით, რომ ამ საწარმოს ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ვ. ი. ლენინის სახელთან. 1894 წლის ბოლოს ვ. ი. ლენინმა მუშა ი. ვ. ბაბუშკინის მონაწილეობით დაწერა პროკლამაცია და მიმართა ამ ქარხნის გაფიცული მუშებისადმი, რომელსაც მაშინ სემიანიკოვსკის ქარხანა ეწოდებოდა. ეს პროკლამაცია ქარხანაში შეიტანა ვ. ი. ლენინის თანამებრძოლმა ზეინკალმა ი. ვ. ბაბუშკინმა, რომელიც „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“ მუშაობდა.

ნევის ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები ლენინის დღეებს ახალი შრომითი წარმატებით ხვდებიან.

მეოთხე სატურბინო საამქროში, სადაც ოდესღაც ი. ვ. ბაბუშკინი მუშაობდა, ჩინებულად შრომობს იმ ზეინკალ-ამწყობთა ბრიგადა, რომელსაც ა. ი. ანდრეევი მეთაურობს. გასულ წელს ბრიგადამ წლიური დავალება სამმაგი გადაჭარბებით შეასრულა. ახლა იგი წარმატებით აწყობს ორ მანქანას — ტურბინსა და ჰაერჩამბერავ მანქანას. სტახანოველებმა იკისრეს მანქანების აწყობა დაამთავრონ 22 იანვარს — დაწესებულ ვადაზე სამი დღით ადრე.

## პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

# ახალი ტექნიკის გამოყენების საკითხი საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

ვიდრე პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პლენუმი განიხილავდა ახალი მექანიზმების დანერგვა-გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის საკითხს, იგი ორი კვირით ადრე იყო ცნობილი. საკითხის მომზადებაში ჩაებნენ ინჟინრები, მექანიკოსები, სპეციალისტები, აქტივი.

ამ დღეებში გაიმართა პლენუმი. მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ მ. ლაბაძემ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ მარგანეცის მრეწველობაში ბევრი რამ გაკეთდა შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. მარგანეცის მაღაროები და მადნის გამაუხვებელი ფაბრიკები სტალინური ხუთწლედების მანძილზე აღიჭურვა უახლესი სამთო ტექნიკით. მთლიანად მექანიზებულია მადნის მონგრევა, ტრანსპორტირება და გაუხვება. მაღაროებში დღემდე კვლავ რჩება ვიწრო ადგილად მადნის დატვირთვა. მადნის დამტვირთავი მანქანების საკმაო პარკი აქვთ ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებში. მართალია, წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა მანქანების წარმადობა (1950 წელთან შედარებით 1951 წელს 6 ტონით გაიზარდა ცვლაში ერთი მანქანის ნაყოფიერება), მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვერ მიაღწიეს იმას, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ დამტვირთავი მანქანები, ტექნიკას მოაცემინონ იმის მაქსიმუმი, რისი მოცემაც მას შეუძლია. ამის მიზეზი ისიც არის, რომ მაღაროებში დანერგილი არ არის ლავებით მუშაობა, ხოლო მექანიზმების ნორმალურად მუშაობისათვის წესიერად გამართული ლავი აუცილებელი პირობაა.

ახალ მექანიზმებს შედარებით კარგად უვლიან და იყენებენ პროქსიდეების გამაუხვებელ ფაბრიკაში. ამიტომ არის, რომ აქ წესიერად წარმართავენ ტექნოლოგიურ პროცესებს, იბრძვიან მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის.

ახალ ტექნიკას სრული შესაძლებლობით ვერ იყენებენ ლენინის, სტალინისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებში. დამტვირთავ მანქანებს ზოგჯერ მიწაზე ამოძრავებენ, მათ ვაგონების გასაგორებლად იყენებენ, არ ხდება მანქანების წინასწარი გეგმიანი შეკეთება. კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს პირველ უბანში ჯალამბრები ტალახშია ჩაფლული, № 49 შტრეკში კი ჯალამბრები ფუჭი ქანით არის დაფარული. ამავე მაღაროში შვიდი ელმავლიდან მხოლოდ ორი მუშაობს, დანარჩენები კი ცუდი ექსპლოატაციის გამო რემონტში იმყოფებიან. წესიერად არ იყენებენ სავაგონო პარკსაც, რითაც ზიანდება ვაგონების საკისარები და ვაგონები გამოდიან მწყობრიდან, სრული დატვირთვით ვერ იყენებენ სახარატო ჩარხებსაც.

ლენინის, სტალინისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებში არა აქვთ მექანიზმების შესანახი ბინები, კეთილმოუწყობელია სახელოსნოები და სამჭედლოები. ხშირად დამტვირთავი მანქანების რემონტი ცისქვეშ წარმოებს.

მექანიზმები უზრუნველყოფილი არ არიან გამოცდილი, კვალიფიციური კადრებით. ტექნიკურ სწავლებაში არის ფორმალიზმი. სწავლების ხარისხი დაბალია, გამოცდები ზოგჯერ ფორმალურ, ლიბერალურ ხასიათს ატარებს. თუ ტექნიკური სწავლების განყოფილების მოხაცემებს დავუჯერებთ, ასეულობით არის მომზადებული ზეინკლები, ხარატები, მემანქანეები, მონტიორები და სხვ. მიუხედავად ამისა, მაინც არის კვალიფიციური მუშების ნაკლებობა.

პლენუმმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა მექანიზმებზე მომუშავე ამხანაგების წახალისებას, მათი მუშაობის გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას. ხშირად პოპულარიზაცია ეწევა ხელით მომუშავე ამხანაგების გამოცდილებას და სამწუხაროდ ივიწყებენ იმ ადამიანებს, რომლებიც რთულ მანქანებს მართავენ.

გადაწყვეტილია, რომ ჭიათურაში უნდა იყოს სამთო ლაბორატორია, რომელიც ახალი ტექნიკის დანერგვა-გამოყენების პრობლემებზე იმუშავებს. მაგრამ ასეთი ლაბორატორიის მოწყობა რატომღაც ჭიანურდება.

პლენუმზე ითქვა ისიც, რომ მაღაროთა პარტიული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან ახალი მექანიზმების დანერგვა-გამოყენებისათვის. ისინი, მართალია, ხშირად მსჯელობენ ახალი ტექნიკის გამოყენების საკითხებზე, დადგენილებებიც ცუდი როდი გამოაქვთ, მაგრამ მათ ბოლომდე ვერ მიჰყვებიან.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მარგანტრესტის მთავარმა მექანიკოსმა გ. კაციტაძემ, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მთავარმა მექანიკოსმა ვ. ციცვიძემ, ამავე განყოფილების მთავარმა ინჟინერმა პ. პაპიძემ, მაღაროთა დირექტორებმა ლ. გოშხეთელიანმა და გრ. ბერიშვილმა, ბერიას სახელობის მაღაროს მთავარმა მექანიკოსმა ს. გაფრინდაშვილმა, გამაუხვებელი ფაბრიკების გამგეებმა ა. გაბეჩავამ და ალ. მოდებაძემ, ტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსმა შ. პაქსაშვილმა, ლენინის სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივანმა გრ. ყიფშიძემ, ტრესტის მმართველმა შ. შეყლაშვილმა.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა პ. პეტრიაშვილმა. პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

# „გაუბედავი, მოკრძალებული კრიტიკა“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 1952 წლის 8 იანვრის ნომერში დაიბეჭდა პრესის მიმოხილვა, რომელიც შეეხებოდა საჩხერის რაიონული გაზეთის მუშაობას.

საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის ბიურომ განიხილა ეს საკითხი, საკმაო სამართლიანად ცნო გაზეთ „კომუნისტის“ კრიტიკა და სათანადო ღონისძიებანი დასახა რაიონული გაზეთის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მის ფურცლებზე გაბედული კრიტიკის ფართოდ გაშლისათვის.

## არგველები დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებენ, ფასებს ამახინჯებენ

თნის სარეწაო კოოპერაციის არტელი „მრეწველობა“ (გამგეობის თავმჯდომარე ბ. ხვედელიანი) ცუდი ხარისხის ტრიკოტაჟის ნაწარმს ამზადებს. ქალის წინდები, მაისურები, ბავშვისა და ქალის საცვლები ცუდი ნაქსოვია, ფერიც არ არის მიმზიდველი. ასევე დაბალი ხარისხისაა არტელის მიერ დამზადებული ფეხსაცმელიც. არტელის მიერ გამოშვებული საქონელი რაიკავშირის მაღაზიებში წლობით აწყვია, მაგრამ მომხმარებელი ხელსაც არ ჰკიდებს. ამის გამო რაიკავშირის გამგეობამ სპეციალური მაღაზია გახსნა ჩამოფასებული საქონლის სარეალიზაციოდ. მაგრამ საქმეს არც ამან უშველა.

1950 წლის მეორე კვარტალში თბილისის სარეწაო კოოპერაციის არტელ „უტილპრომკომბინატიდან“ არტელმა წამოიღო 1.331 მანეთის საქონელი; რომელიც გზაზე ქალაქ ქუთაისში გაყიდეს, ამ დანაშაულისათვის საამქროს უფროსი შ. შიმშილაშვილი გამგეობამ პასუხისგებაში მისცა, მაგრამ რაიონის პროკურატურაში საქმე მიაფუჩეჩეს.

არტელში ფასებსაც ამახინჯებენ. 1951 წლის ნოემბერში სარეწაო კოოპერაციის სისტემის არტელებიდან არტელის მუშაკებმა უფაქტურად წამოიღეს ბამბა, კილოგრამი 13 მანეთად, ქ. ონში კი კილოგრამი ბამბა 19 მანეთად და 60 კაპიკად გაყიდეს. ამას არტელის ხელმძღვანელები იმით ხსნიან, რომ არტელი დასუსტებულია და უნდა მოვაღონიეროთო, სინამდვილეში კი თავიანთი ჯიბის „მოღონიერებისათვის“ ზრუნავდნენ.

განსაკუთრებით ცუდი ხარისხის პროდუქციას უშვებს სარეწაო კოოპერაციის მეორე არტელი „კერამიკა-სახურავი“. რამდენიმე თვის წინათ, აღნიშნული არტელისაგან კერამიკის სავაჭროს მიიღო სხვადასხვა ჭურჭელი. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ჭურჭლის ნაწილი დამტვრეულია ან საკმაოდ არ არის გამომწვარი. ასეთი ჭურჭელი წლობით რჩება სავაჭროში. ცუდი ხარისხისაა აგრეთვე არტელის მიერ გამოშვებული კრამიტი.

აღნიშნული არტელების მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭიროა სერიოზული ღონისძიებების გატარება.

**ბ. მეტრეველი**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## დახმარება სამამულო ომის ინვალიდებს და ომში დაღუპულთა ოჯახებს

**სტალინირი.** (საკ. კორ.). სტალინირის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ გასულ წელს სამამულო ომის ინვალიდებს პენსიის სახით მისცა მილიონნახევარზე მეტი მანეთი. ომის ინვალიდებს მიეცათ აგრეთვე სანატორიუმების საგზურები.

მუდმივი დახმარების გარდა ომში დაღუპულთა ოჯახებს ერთდროული დახმარებაც ეძლეოდათ. საშეფო ორგანიზაციებმა სამამულო ომში დაღუპულთა და ინვალიდების ბევრი ოჯახი მოამარაგეს შეშით.

# 1952 წელს სჯალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე

### საუბარი მშენებლობის უფროს ა. გაბუნიასთან

1951 წელი სამგორელმა მშენებლებმა ბრწყინვალე შრომითი გამარჯვებით აღნიშნეს: ამუშავეს ზემო მაგისტრალური არხი, სამგორისაკენ ივრის წყალი გამოუშვეს და დაიწყეს თბილისის წყალსაცავის ავსება.

დადგა 1952 წელი. ამ წელს სამგორელ მშენებელთა კოლექტივის მიერ დასახული ამოცანების შესახებ მშენებლობის უფროსმა ამხ. გაბუნიამ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— წელს სამშენებლო სამუშაოთა შესასრულებლად მთელი სარწყავი სისტემის მშენებლობაზე გაცილებით მეტი თანხის კაპიტალდაბანდებაა გათვალისწინებული, ვიდრე შარშან იყო. სამუშაოთა პროგრამაც წელს გაცილებით უფრო ფართო და დიდია, ვიდრე შარშან.

სამგორელი მშენებლების უპირველესი, მთავარი საბრძოლო ამოცანაა უახლოეს ორ-ორნახევარ თვეში დაამთავრონ ზემო მაგისტრალურ არხზე აგებული დიუკერების მეორე წყალგამტართა აგება, რათა გაზაფხულის წყალდიდობისას შეეძლოთ ადიდებული იორიდან წყალ-ს მეტი რაოდენობით გამოშვება წყალსაცავისაკენ.

მეორე საბრძოლო ამოცანაა წელს მორწყვის დაწყების სეზონისათვის უზრუნველყოთ წყალგანმანაწილებელი ქსელით სამგორის იმ პირველი ფართობების მორწყვა, რომელთა სიმეურნეო ათვისება უკვე დაიწყო. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ ამოცანის შუა გაზაფხულამდე შესასრულებლად მშენებლებს მოუხდებათ გაიყვანონ განმანაწილებელი არხები თავისი სარწყავი ქსელით, აგრეთვე ეგრეთწოდებული ჯგუფური სარწყავი ქსელები. სულ ამ მოკლე დროში მშენებლებმა წყალგანმანაწილებლები და საქსელე არხები უნდა გაიყვანონ 190 კილომეტრ საერთო მანძილზე. აქედან არხების მოპირკეთება (დაბეტონება) საჭირო იქნება 162 კილომეტრზე, ასაგები იქნება 2.470 დიდი და პატარა ხელოვნური ნაგებობა. ჰიდროტექნიკოსებისათვის გასაგები იქნება, თუ რაოდენ შრომატევადი და საძნელოა მცირეგაბარიტიანი არხების და წვრილ-წვრილი ხელოვნური ნაგებობების დაბეტონება ველზე, ისიც გაზაფხულის პირას, როდესაც მინდვრად ტრანსპორტის მოძრაობა ძნელია. მიუხედავად ყველა სიძნელისა, მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ უზრუნველყონ ყველა ამ სამუშაოთა დროული და მაღალხარისხოვანი შესრულება, გამონახონ მუშაობის ყველაზე უფრო რაციონალური მეთოდი ასეთ დიდ მანძილზე —162 კილომეტრზე ქსელის დასაბეტონებლად.

ამ ამოცანას სამგორელი მშენებლები შეასრულებენ მხოლოდ მაშინ, თუ „წყალპროექტის“ კოლექტივი (ხელმძღვანელი ამხ. გ. მიქელაძე) დროულად მოგვაწოდებს წყალგანმანაწილებელი ქსელის სამშენებლო სამუშაო ნახაზებს და პროექტებს. პირობის თანახმად მათ ეს პროექტები და ნახაზები მშენებლებს უნდა გადასცენ იანვრის ბოლომდე. დამპროექტებლების მიერ ამ პირობის შესრულება მშენებლებისათვის დიდი დახმარება იქნება.

სხვა დიდად პასუხსაგები სამუშაოებიც აქვთ წელს შესასრულებელი მშენებლებს. თბილისის წყალსაცავის შექმნასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა საკითხი ამ წყალსაცავის მახლობელი მიდამოების, აგრეთვე ქალაქის იმ მხარის გამწვანებისა, რომელიც მახათას სერის კალთებს შეადგენენ. ჩვენი ამოცანაა ამ მიდამოებში მალე გამოვუშვათ წყალი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ტყის გაშენება და ზრდა, აგრეთვე ღრმაღელის მიდამოების მორწყვა და გამწვანება. ამ მიზნით საჭიროა უმოკლეს დროში შეუდგეთ ღრმაღელისა და ველკეთილის არხების მშენებლობას, ხოლო იმ ზონის მორწყვის უზრუნველსაყოფად, რომელთაც ეს არხები ვერ გაუწევენ მომსახურეობას, სატუმბავი სადგურების მშენებლობას.

წელს ჩვენი ამოცანაა ძირითადად მოვათავოთ ჭევდა მაგისტრალური არხის მშენებლობა. ეს არხი, რომელმაც თბილისის წყალსაცავიდან უნდა მიიღოს ქვემო სამგორის სივრცეთა მოსარწყავი წყალი, ზემო მაგისტრალთან შედარებით საგრძნობლად გრძელია და ხელოვნური ნაგებობაც აქ მრავალია. რელიეფურ თავისებურებათა გამო მრავალ ადგილას არხი მიწაყრილზე უნდა გავატაროთ. ადგილობრივ აღებული მიწა საამისოდ არ გამოდგება (მისი თაბაშირიანობის გამო) და ამიტომ საჭირო იქნება გამოვნახოთ თიხა-მიწის კარიერები, იქიდან მივზიდოთ ეს მიწა ტრასზე დასაყრელად, რაც დიდად შრომატევადი სამუშაოა.

წელს ძირითადად უნდა დავამთავროთ ლილო-მარტყოფის არხის მშენებლობაც. ეს არხი ამჟამად ნახევარ მანძილზე უკვე გაჭრილია. მის ტრასზე მოგვიხდება პატარა გვირაბის გაჭრა და დარჩენილ სამუშაოთა მოთავება.

როგორც ცნობილია, 1951 წლის ბოლოდან სამგორში უკვე დაიწყეს ჩამოსახლება რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების კოლმეურნეებმა. უახლოეს წლებში ჩამოსახლება თანდათან გაძლიერდება, სამგორის უზვმოსავლიანი მიწები ათვისებულ იქნება. მარტო ქვემო მაგისტრალური არხის ზონაში ხუთი ახალი სოფლის გაშენებაა გათვალისწინებული. ამ სოფლების მკვიდრთ პატრია და ხელისუფლება შესანიშნავ პირობებს უქმნიან. ბუნებაც მათ მთელი თავისი სიუხვით გადაუშლის გულს: ჯანსაღი ჰავა, მაღალმოსავლიანი მიწა, კეთილმოწყობილი სოფლები. მაგრამ სამგორელ მკვიდრთათვის საჭირო იქნება აგრეთვე ვარგისი სასმელი წყალი. წლევანდელი ჩვენი საბრძოლო ამოცანაა დავამთავროთ სამგორის სოფლებისათვის ახალი წყალსადენის გაყვანა საგარეჯოს რაიონიდან (ივრის ფილტრატები). ამ წყალსადენის მშენებლობა უკვე დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს.

დიდი მასშტაბის სამუშაოები გვაქვს წელს შესასრულებელი სამგორში სარწყავი სისტემის მომსახურე მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი დაბების ასაგებად. ყველაზე დიდი ერთი საცხოვრებელი დაბა უკვე შენდება თეთრწყაროში. ასეთივე დაბების მშენებლობა უნდა დავამთავროთ თბილისის „ზღვის“ მახლობლად და ვაზიანში.

ჩვენ გვყავს მშენებელთა ნაცადი, შრომაში გამობრძმედილი კოლექტივი. ეჭვი არ არის, იგი მთელი ქართველი ხალხის დახმარებით შეძლებს მიმდინარე წლის სამშენებლო გეგმის წარმატებით შესრულებას.

## რედაქციის ფოსტიდან

# ამხ. ვ. მონიავა ფეიქრების კრიზისს აბრალებს

რედაქციამ ქ. წულუკიძიდან შემდეგი შინაარსის მომართვა მიიღო: „გაზეთ „კომუნისტის“ 1951 წლის 29 დეკემბრის მოწინავე სტატიაში აღნიშნულია: „მახარაძისა და წულუკიძის ძაფსახვევი ფაბრიკები ხშირად დაბალი ხარისხის პროდუქციას აწვდიან თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკას“. უნდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნული ბრალდება წულუკიძის ძაფსახვევი ფაბრიკისათვის დაუმსახურებელია“. მიმართვას ხელს აწერს ფაბრიკის დირექტორი ვ. მონიავა.

მართალია თუ არა ამხ. ვ. მონიავა? რა თქმა უნდა, არა! ფაქტები ცხადყოფენ, რომ ამხ. ვ. მონიავა ტყუის. აი ეს ფაქტებიც:

**პირველი.** გასული წლის მარტში თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ღავთაძემ ქ. წულუკიძეში შემდეგი შინაარსის დეპეშა გაგზავნა: „ძაფსახვევი ფაბრიკის დირექტორს. თქვენგან მიღებულ კრეპს გამოხარშვის შემდეგ ფერი არ გამოდის, შეღებილია ბირდაპირი საღებავით, რაც დაუშვებელია... მიღებული ნედლეული წარმოებაში არ გაიშვება, გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენელი“.

**მეორე.** 1951 წლის მეორე ნახევრიდან წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა თავის ნედლეულს უგზავნის ქუთაისის აბრეშუმის კომბინატს, როგორ არის აქ საქმე? ამას წინათ კომბინატის საგრეხ-მოსამზადებელმა საამქრომ შეადგინა აქტი, საიდანაც ირკვევა, რომ 1951 წლის სექტემბრიდან 1952 წლის 1 იანვრამდე წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკიდან მიღებულ იქნა 86,7 კილოგრამი წუნდებული პროდუქცია, რომ კრეპის ხარისხის გაუარესებისათვის ფაბრიკას ამავე პერიოდში ჯარიმების სახით გადახდილი აქვს 24.397 მანეთი.

ამხ. მონიავა აცხადებს, რომ ფაბრიკას გადაჭარბებით აქვს შესრულებული პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გეგმა. ეს ძალიან კარგია, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც დავინახეთ, ფაბრიკა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით უშვებს წუნდებულ პროდუქციას. „კომუნისტის“ კრიტიკაც სწორედ იქითკენ იყო მიმართული, რომ გაძლიერდეს ბრძოლა წუნისმკეთებლებისა და მათი მფარველების წინააღმდეგ. ამხ. მონიავა არ ეთანხმება გაზეთის სამართლიან კრიტიკას.

რედაქცია როგორც მახარაძისა და წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკებისაგან, ისე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსაგან მოელის ბოლშევიკური გამოხმაურებას თავის 1951 წლის 29 დეკემბრის მოწინავე წერილზე „გაუხრელად ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი“.

## კლუბები მაღალმთიან სოფლებში

**ლენინგორი.** (საკ. კორ.). მოწინავე კოლმეურნეობები დიდ მზრუნველობას იჩენენ სოფლის კულტურული ცხოვრების მაღალ დონეზე დაყენებისათვის: აგებენ შენობებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. უკანასკნელ ხანებში საკოლმეურნეო კლუბები ააგეს მაღალმთიან სოფლებში — ყველიდაბაში, ცხავატსა და თოხტაში.

## „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# ვ. ი. ლენინი—ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორი

### ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 28-ე წლისთავისათვის

ვ. ი. ლენინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა განუყრელად არის დაკავშირებული ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიასთან, საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობასთან. ვ. ი. ლენინმა ი. ბ. სტალინთან მჭიდრო თანამეგობრობით შექმნა და აღზარდა ბოლშევიკური პარტია—ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი, შექმნა საბჭოთა სახელმწიფო, ყველა სახელმწიფოთა შორის ყველაზე დემოკრატიული და უძლეველი, რომელსაც იმედით შეჰყურებენ მსოფლიოს მშრომელი მასები.

იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში, როდესაც კლასობრივმა ბრძოლამ გამძაფრებული სახე მიიღო, ახლებურად დადგა პროლეტარული პარტიისა და მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლაში სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხები. ახალი ვითარების მსოფლიო-ისტორიული ამოცანები ვერ გადაჭრებოდა ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიების ძალებით, რომლებიც სოციალური რეფორმების პარტიებად გადაიქცნენ. მაშინ როცა ახალი ამოცანები წამოიჭრა, მუშათა მოძრაობის სათავეში ძველი პარტიების დარჩენა, რომლებიც წმინდა საპარლამენტო პარტიებად გადაიქცნენ, იმას ნიშნავდა, რომ პროლეტარიატი დარჩენილიყო სრულიად განიარაღებული, რომ იგი განწირული ყოფილიყო უიმედო სასოწარკვეთილებისათვის, გარდუვალი დამარცხებისათვის. „აქედან, — წერდა ამხანაგი სტალინი, — აუცილებლობა ახალი პარტიისა, მებრძოლი პარტიისა, რევოლუციური პარტიისა, რომელიც საკმაოდ გამზედავია იმისათვის, რომ წაიყვანოს პროლეტარები ძალაუფლებისათვის საბრძოლველად, საკმაოდ გამოცდილია იმისათვის, რომ გაერკვეს რევოლუციური ვითარების რთულ პირობებში, და საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ გვერდი აუაროს ყველა და ყოველგვარ წყალქვეშა ქვებს მიზნისაკენ სავალ გზაზე.

ასეთი პარტიის გარეშე ფიქრიც კი ზედმეტია იმპერიალიზმის დამხობაზე, პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებაზე“ (ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 196).

ახალი ტიპის პარტიის შექმნას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის პროლეტარიატისათვის, რადგან რუსეთი XX საუკუნის დამდეგს იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი გახდა.

იმპერიალიზმის ძირითადი წინააღმდეგობანი — წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის, წინააღმდეგობა სხვადასხვა ფინანსურ ჯგუფებსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, მათს ბრძოლაში ნედლეულის წყაროებისათვის, სხვათა ტერიტორიებისათვის, წინააღმდეგობა ერთ მუჭა გაბატონებულ „ცივილიზებულ“ ერებსა და მსოფლიოს მრავალ ასეულ მილიონიან კოლონიურ და დამოკიდებულ ხალხთა შორის — რუსეთის მუშათა კლასში საპასუხო რეაქციას იწვევდა. რუსეთის მუშათა კლასი ხმას იმაღლებდა ცარიზმის, მემამულეთა და კაპიტალისტთა წყობილების წინააღმდეგ, რომელმაც დასავლეთის იმპერიალისტების საამებლად მძიმე უღელი დაადგა რუსეთის მშრომელ ხალხს. რუსეთში იწყებდა გადმოსვლას მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი.

კაპიტალიზმის წინააღმდეგ დიდ ბრძოლებში რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვების ერთი უმთავრესი პირობა ის იყო, რომ მის მოკავშირედ გამოვიდა ყველაზე რევოლუციური გლეხობა — რუსეთის გლეხობა, რომელიც ფეოდალიზმის ნაშთებისაგან განთავისუფლებას ელოდა არა ბურჟუაზიის ხელით, როგორც ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოხდა, არამედ რუსეთის გმირ მუშათა კლასთან კავშირით, მასთან ერთად ბრძოლით, მისი ხელმძღვანელობით. ჯერ კიდევ 1899 წელს გადასახლებაში მყოფი ვ. ი. ლენინი წერდა: „გლეხთა საკითხი რუსეთში არსებითად განსხვავდება გლეხთა საკითხისაგან დასავლეთ-ევროპაში,... როლი გლეხობისა, როგორც კლასისა, რომელიც იძლევა მებრძოლთ აბსოლუტიზმისა და ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, დასავლეთში უკვე შესრულებულია, რუსეთში კი—ჯერ კიდევ არა“ (თხზულებანი, ტ. 4, გვ. 289-290). აქვე ლენინი მიუთითებს, რომ „მუშათა პარტიას არ შეუძლია, მარქსიზმის ძირითად ანდერძთა დაურღვევლად და უდიდესი პოლიტიკური შეცდომების დაუშვებლად, **გვერდი აუაროს** იმ რევოლუციურ ელემენტებს, რომლებიც გლეხობაშიც მოიპოვება, არ შეუძლია არ დაუჭიროს მხარი ამ ელემენტებს“ (იქვე, გვ. 292).

მაგრამ ის გარემოება, რომ რუსეთში იყო ყველაზე რევოლუციური პროლეტარიატი და ყველაზე რევოლუციური გლეხობა, ის, რომ აქ იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა მთავარი კვანძი გაიხასკვა, როდი იყო საკმარისი მიზნის მისაღწევად. საჭირო იყო რევოლუციური პარტია, რომელიც რუსეთის მუშათა კლასს საბოლოო გამარჯვებისაკენ წაიყვანდა.

ვ. ი. ლენინი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შეუდგა ასეთი პარტიის შექმნას და იგი აღჭურვა გამარჯვებისათვის საჭირო იარაღით — პროლეტარული რევოლუციის თეორიითა და ტაქტიკით, პროლეტარიატის დიქტატურის თეორიითა და ტაქტიკით. რუსეთი ლენინიზმის სამშობლო გახდა, ხოლო ვ. ი. ლენინი მისი შემოქმედი. ის ფაქტი, რომ რუსული და მსოფლიო კულტურის უმაღლესი მიღწევა — ლენინიზმი რუსეთში წარმოიშვა, რუსი ხალხის უდიდესი ეროვნული სიამაყის საგანია. ლენინიზმი წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმს. ლენინიზმმა პასუხი გასცა ყველა იმ კითხვას, რომელიც დღის წესრიგში დააყენა ახალმა ეპოქამ და უწინარეს ყოვლისა პროლეტარიატის საერთაშორისო ძმრაობამ.

ლენინიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამომუშავების საქმეში, ნამდვილი რევოლუციური პარტიის შექმნის საქმეში ლენინის უახლოესი თანამებრძოლი იყო ამხანაგი სტალინი.

ლენინის მიერ შექმნილმა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“ 1895 წელს პირველად დაიწყო მუშათა მოძრაობასთან მეცნიერული სოციალიზმის შეერთება. ამავე მიზანს ისახავდა ამიერკავკასიაში 1898 წელს „მესამე დასის“ შიგნით ამხანაგ სტალინის მიერ შექმნილი რევოლუციური უმცირესობა. პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ და ამიერკავკასიაში „მესამე დასის“ რევოლუციური უმცირესობა, რომელმაც შემდეგ ლენინურ-ისკრული ორგანიზაციებით მოჰფინა მთელი ამიერკავკასია, ახალი ტიპის პარტიის ჩანასახები იყვნენ.

ახალი ტიპის პარტიის შექმნის გზაზე ლენინს მოუხდა ბრძოლა მთელ რიგ წვრილბურჟუაზიულ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობებთან. ქმნიდა რა ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიურ საფუძვლებს, ლენინმა უპირველეს ყოვლისა ბოლომდე გამოააშკარავა და გაანადგურა „სტიქიურობის თეორია, „მოძრაობაში შეგნებული ელემენტის როლის შემცირების თეორია, „მაჩანჩალობის“ იდეოლოგია, **ყოველგვარი** ოპორტუნიზმის ლოგიკური საფუძველი“ (ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 106). გაანადგურა რა საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსი მეგაბარახტრენი—ეგრეთწოდებული „ეკონომისტები“, ლენინმა უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა მუშათა მოძრაობისათვის თეორიის, შეგნებულობის მნიშვნელობა, პარტიის როგორც მუშათა სტიქიური მოძრაობის გამარეკოლუციურებელი და ხელმძღვანელი ძალის მნიშვნელობა. ლენინმა მოგვცა ღრმა დასაბუთება იმ დებულებისა, რომ მარქსისტული პარტიის უპირველესი ამოცანა არის სოციალიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან, მუშათა მოძრაობის შეგნებულობის ამაღლება, მუშათა კლასის ავანგარდში ყოფნა, მისთვის ნათელი პერსპექტივის დასახვა. ახალი ტიპის პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების გენიალური დამუშავება ლენინმა მოგვცა თავის ცნობილ წიგნში „რა ვაკეთოთ?“.

ლენინმა შეიმუშავა ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები და ცხადყო, რომ მუშათა კლასის პარტია არის მისი მოწინავე, რევოლუციური თეორიით შეიარაღებული ნაწილი, რომელსაც შეგნებულობა შეაქვს მუშათა კლასში; ცხადყო, რომ პარტია არის მუშათა კლასის არა მარტო მოწინავე ნაწილი, არამედ მისი ორგანიზებული რაზმიც; ცხადყო, რომ პარტია არის მუშათა კლასის ყველა სხვა ორგანიზაციებს შორის „ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა“, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს მუშათა კლასის ყველა დანარჩენ ორგანიზაციებს, გაერთიანოს მათი საქმიანობა და წარმართოს ისინი საერთო მიზნისაკენ; ცხადყო, რომ პარტია არის მუშათა მრავალმილიონიან მასებთან მუშათა კლასის მოწინავე რაზმის კავშირის განსახიერება; რომ პარტია ორგანიზებული უნდა იყოს დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძვლებზე; რომ თავისი რიგების შენარჩუნების მიზნით პარტია უნდა ახორციელებდეს ერთიან პროლეტარულ დისციპლინას, რომელიც ერთნაირად სავალდებულო უნდა იყოს პარტიის ყველა წევრისათვის.

ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები ლენინმა ჩამოაყალიბა თავის ცნობილ წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“. ამ წიგნს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიისათვის. მან დაიცვა პარტიულობა წრეობრიობის წინააღმდეგ, დაიცვა პარტია დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, გაანადგურა მენშევიკური ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხში და ორგანიზაციული საფუძვლები შეუქმნა ჩვენს პარტიას.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ლენინმა გაამდიდრა მარქსიზმი სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიით და საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკების პარტიის იმ რევოლუციურ ტაქტიკას, რომლის შემწეობითაც ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა 1917 წელს კაპიტალიზმზე გაიმარჯვა. ბოლშევიკების ტაქტიკის საფუძველს წარმოადგენდა რევოლუციაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფა, მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელობა, ლიბერალური ბურჟუაზიის იზოლაცია და ბრძოლა ცარიზმისა და მემამულეთა წყობილების წინააღმდეგ. ეს ტაქტიკა უპირისპირდებოდა მენშევიკების ტაქტიკას, რომელიც რევოლუციის ხელმძღვანელ როლს ბურჟუაზიას მიაკუთვნებდა, მუშათა კლასი ბურჟუაზიის მსახურის როლში გამოჰყავდა, ხოლო გლეხობის როლს სავსებით უგულებელყოფდა, ანგარიშ

## მექანიზაციორებმა მუშაობა გააძლიერეს

**ხაშური.** (საკ. კორ.). მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა გადაჭარბებით შეასრულა ტრაქტორების 1951 წლის მეოთხე კვარტალის რემონტის გეგმა. 31 ტრაქტორის ნაცვლად შეკეთებულია 32.

ხაშურელმა მექანიზატორებმა კვანძური მეთოდის ფართოდ დანერგვით იანვრის პირველ დეკადაში 7 ტრაქტორი შეაკეთეს.

ტრაქტორების რემონტის საქმეში დაწინაურდნენ ალისა და ოსიაურის სატრაქტორო ბრიგადები (ბრიგადირები გ. იმერლიშვილი და ს. ბარბაქაძე) და ტრაქტორისტები ლ. იმერლიშვილი, ვ. ბეგიჯანაშვილი, გ. ჩიტაძე, თ. გოგოლაძე, ს. ლომსაძე, მ. ხეთაგური და სხვები.

მტს-ში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მექანიზატორები იბრძვიან იმისათვის, რომ ტრაქტორების რემონტი მთლიანად დაამთავრონ იანვრის ბოლოსათვის, კომბაინების, სალეწი მანქანებისა და ყველა მისაბმელი იარაღისა — 25 თებერვლისათვის.

## მეცხოველეთა წარმატება

**ახალქალაქი.** (საკ. კორ.). სოფელ აბულის კონევის სახელობის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორის, ცხენისა და ფრინველის სულადობის 1951 წლის სახელმწიფო გეგმები და რაიონში ყველაზე უკეთეს წარმატებას მიაღწია პროდუქტიულობის გადიდებაში, ამასთან მთლიანად შეინარჩუნა მეძროხეობის ფერმაში მიღებული ნამატი. აბულელმა კოლმეურნეებმა 136 ძროხაზე საშუალოდ თვითეულზე 55 ლიტრით მეტი რძე მიიღეს, ვიდრე წინა წელს და გეგმას მნიშვნელოვნად გადააჭარბეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნაზიკ ერიციანი ფერმის 10 ძროხას უვლის. თვითეულ საფურაეე ძროხაზე მან 2.150 ლიტრი რძე მიიღო, ანუ გეგმაზე 950 ლიტრით მეტი, და ნამატიც მთლიანად შეინარჩუნა.

მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა რაიონული საბჭოს დეპუტატმა ანაიდა ბლოიანმა. მან გეგმის გადამეტებით 10 ძროხაზე საშუალოდ თვითეულზე 1.450 ლიტრი რძე მიიღო და 300 ლიტრით გადააჭარბა საგეგმო დავალებას.

თვითეულ ძროხაზე გეგმის გადამეტებით მიიღეს რძე და ნამატიც მთლიანად შეინარჩუნეს აგრეთვე მწველავებმა ჰრაქელ დარბაინამ, საშლი აღაჯანიანმა და მარიამ საშიკიანმა.

## საკოლმეურნეო კადრების მომზადება

**გორი.** (საკ. კორ.). რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ ტყვიავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობასთან მოაწყო მეხილეობის ბრიგადების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებელი ორკვირიანი კურსები. კურსებზე ლექციებს კითხულობენ სკრის მეხილეობის საცდელ-საჩვენებელი სადგურის მეცნიერი მუშაკები. კურსებზე მომზადდება 40 მეხილე.

ხიდისთავის ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან მოეწყო მევენახეობის ბრიგადირთა მოსამზადებელი კურსები.

**სურათზე:** ზნაურის მტს-ის უფროსი აგრონომი ხ. მინდიაშვილი (მარცხნივ), მექანიკოსი ვ. რუსიშვილი და პირველი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ხ. ჭანტურიძე ამოწმებენ ტრაქტორების რემონტის ხარისხს.

ფოტო ვ. უბოჟენკოსი.

## მოწინავე კოლმეურნეობა

სოფელ გავაზში (ყვარლის რაიონი) სამი კოლმეურნეობა არსებობდა. 1950 წელს ისინი ერთ კოლმეურნეობაში გაერთიანდნენ. მას შემდეგ დიდი დრო არ არის გასული, მაგრამ გამსხვილებული კოლმეურნეობის მიღწევებზე ბევრის თქმა შეიძლება.

გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას აგრონომი თენგიზ ბუჯიაშვილი ხელმძღვანელობს. იგი საქმის მოყვარული, მცოდნე მუშაკია, კოლმეურნეთა შორის კარგი ავტორიტეტით სარგებლობს.

— ჩვენს კოლმეურნეობას დიდძალი გამოუყენებელი მიწები ჰქონდა, — თქვა ამხ. ბუჯიაშვილმა.—ზოგან ჭაობი იყო, ზოგან კი გაუვალი ძეძვნარი. შარშან 100 ჰექტარი მიწა ავითვისეთ. აქ ჰექტარზე საშუალოდ 70 ცენტნერი სიმინდი მოვიყვანეთ. წელს უფრო მეტ მიწას ავითვისებთ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მონაწილეთა მიმართვის პასუხად გავაზელებმა ჰექტარზე სამი ცენტნერით მეტი პურის მიღება იკისრეს. პირობა რომ გაემართლებინათ, კოლმეურნეებმა ენერგიის დაუზოგავად იმუშავეს. 107 ჰექტარზე დიდძალი მინერალური და ორგანული სასუქი შეიტანეს, ჯეჯილები დაფარცხეს, სარეველები მთლიანად მოსპეს. როგორც კი პურეული დამწიფდა, მოსავალი უდანაკარგოდ აიღეს. ამის შედეგი იყო, რომ გავაზელებმა წინა წლებთან შედარებით ჰექტარზე საშუალოდ 5 ცენტნერით მეტი პური მოიყვანეს. ამ საქმეში ყველას მეოთხე ბრიგადამ (ბრიგადირი ნიკოლოზ ვარადაშვილი) ოჯობა. ჰექტარზე საშუალოდ 18 ცენტნერი ხორბალი აიღეს. მოცემულ დავალებას დიდად გადაჭარბა გიორგი ღონიაშვილის ბრიგადამაც.

წინა წლებში კოლმეურნეობაში ჰექტარზე 18 ცენტნერი მოჰყავდათ, გასულ წელს კი სიმინდის მოსავალმა ჰექტარზე მიაღწია 39 ცენტნერს. განსაკუთრებით დიდი მოსავალი მიიღეს ნიკოლოზ ვარადაშვილისა და ირიდიონ თადიაშვილის ბრიგადებმა.

მევენახეობის ბრიგადას გამოცდილი კოლმეურნე ალექსი მებაღიშვილი ხელმძღვანელობს. წინათ გავაზელებს ეუბნებოდნენ „ყურძნის მოყვანა არ იციათ“. მეზობელი კოლმეურნეობების წევრები არ ტყუოდნენ. იმის გამო, რომ ვენახებს კარგად არ უვლიდნენ, ჰექტარზე საშუალოდ 15-20 ცენტნერზე მეტი ყურძენი ვერ მოჰყავდათ. შარშან გავაზელებმა ჰექტარზე 68 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს, გეგმა კი 45 ცენტნერს ითვალისწინებდა. ლევან თათრიშვილის და თედო ვარადაშვილის რგოლებმა ყურძნის მოსავლიანობის დავალება ორასი პროცენტით შეასრულეს. კოლმეურნეობას ასი ტონა ყურძენი უნდა ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის, ფაქტიურად 141 ტონა ჩაბარა.

კოლმეურნეები ვერა ბიჭიაშვილი, მართა ხუციშვილი, თინა რაჯაბაშვილი, ვერა ვარადაშვილი და სხვები მეაბრეშუმეობის ოსტატები არიან. შარშან აბრეშუმის პარკის მოსავლის გეგმა ორმაგად შეასრულეს. კოლმეურნეობამ 10.085 კილოგრამი მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი ჩააბარა სახელმწიფოს.

გავაზში მეცხოველეობის საქმესაც ყურადღებით ეკიდებიან. საკოლმეურნეო ფერმებში 823 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 785 სული ღორი, 1.684 სული ცხვარი და 2.322 ფრთა ფრინველი ჰყავთ. პროდუქტიულობა წინა წლებთან შედარებით 25 პროცენტით გაადიდეს, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი.

კოლმეურნეობის საწარმოები, რომლებიც საკუთარი ელექტროსადგურის ენერგიით მუშაობენ, სრული დატვირთვით მოქმედებენ. აგურის ქარხანამ შარშან 150.000 ცალი აგური გამოუშვა, წელს ორჯერ მეტის დამზადებას ვარაუდობენ. ელექტროწისქვილმა მიცემული გეგმა ვადაზე სამი თვით ადრე შეასრულა. სახერხ ქარხანაში დიდძალი ხის მასალა დახერხეს. წელს კრამიტის ქარხანასაც აამუშავებენ.

კოლმეურნეთა ბეჯითი შრომა უხვად ნაზღაურდება. მიხეილ ბუთიაშვილის ოჯახმა გამომუშავებულ შრომადღეებზე 7.000 კილოგრამი მარცვლეული და 4.000 მანეთი ფული მიიღო, პართენ რაჯაბაშვილის ოჯახმა — 6.870 კილოგრამი მარცვლეული, სოლომონ ბულბულაშვილმა — 6.635 კილოგრამი, გიორგი ღონიაშვილმა — 5.278 კილოგრამი და ა. შ.

გავაზელი კოლმეურნეები ახლა წლიური საანგარიშო კრებისათვის ემზადებიან.

**ს. ქოჩლაძე**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

### აგრესიული ამერიკული ბანაკის ქვეყნები კვლავ ცხადყოფენ, რომ არ სურთ ბოლომდე გადაუდებელი ღონისძიებანი მშვიდობის უზრუნველსაყოფად

**პარიზი,** 15 იანვარი. (საკუთარი სპეც. კორ.). ამერიკა-ინგლისის ბლოკის ქვეყნების დელეგაციებმა ვერ მოახერხეს დუმილით აევლოთ გვერდი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ისეთი გაშლილი პროგრამისათვის, როგორიც არის სსრ კავშირის დელეგაციის მიერ 12 იანვარს შეტანილი საბჭოთა წინადადებანი. ახლა ისინი ცდილობენ უარყონ ეს წინადადებანი. იმ დელეგაციების პოზიცია, რომლებიც აგრესიული ამერიკული ბანაკის ქვეყნებს წარმოადგენენ, უკვე საკმაოდ მკაფიოდ გამოვლინდა. საბჭოთა წინადადებების ერთ ნაწილს ისინი ყალბი არგუმენტების გამოყენებით ახლა უარყოფენ, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც ეხება ატომური იარაღის აკრძალვას, შეიარაღების შემცირებასა და კონტროლის დაწესებას, ცდილობენ დასამარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიისათვის მათი გადაცემით.

საბუთები, რომლებსაც ამავე დროს ეს დელეგაციები იყენებენ, არ გამოირჩევა არც სიახლით, არც ლოგიკურობით, არც კეთილსინდისიერებით. ისინი ყველანი წარმოადგენენ ვითომდა სსრ კავშირის მხრივ არსებული „საფრთხის“ უკვე დიდი ხანია მხილებულ იმ ცილსმწამებლურ მტკიცებათა მომაბეზრებელ გამეორებას, რომლებსაც ჩვეულებრივ იყენებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნების აგრესიული გეგმების დასაფარავად. სწორედ ასეთი იყო პოლიტიკური კომიტეტის დღეგანდელ დღის სხდომაზე ინგლისის, ჰოლანდიის, ბელგიისა და ავსტრალიის წარმომადგენლების გამოსვლები.

ბრიტანეთის დელეგატი ლოიდი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებანი, რომლებიც ეხება ატომური იარაღის აკრძალვას და ამ აკრძალვისადმი კონტროლის დაწესებას, იმის სერიოზული ცდაა, რომ, როგორც მან თქვა, „ხიდი გაიდოს“ მხარეთა შორის. მან თქვა, რომ მიესალმება შეთანხმების მისაწვევად გადადგმულ ამ ნაბიჯებს. მაგრამ, ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ლოიდი დაჟინებით მოითხოვდა მიეღოთ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციების წინადადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა წინადადებების ამ პუნქტებზე გადაწყვეტილებანი არ მიიღონ და რომ ისინი გადაეცეს განიარაღების კომისიას.

რით ასაბუთებდა ბრიტანეთის დელეგატი თავის პოზიციას?

იგი აცხადებდა, რომ ეს საკითხები მეტად სერიოზულია და გულმოდგინე მოფიქრებას მოითხოვს და ამიტომ პოლიტიკურმა კომიტეტმა ისინი არ უნდა განიხილოს და მათ შესახებ გადაწყვეტილებანი არ უნდა მიიღოსო. ამიგადგ, ლოიდი გამოდიოდა ყალბი და სასაცილო წინაპირობიდან, თითქოს გენერალური ასამბლეა მოწოდებულია განიხილოს და გადაწყვიტოს მხოლოდ წერილმანი და მეორეხარისხოვანი საკითხები და არა ძირითადი პრობლემები, რომლებიც მშვიდობის უზრუნველყოფას ეხება.

შემდეგ ინგლისის დელეგატმა აღნიშნა, რომ ახალი საბჭოთა წინადადებანი, რომლებიც ეხებიან როგორც ატომური იარაღის აკრძალვის კონვენციის, ისე კონტროლის კონვენციის ერთსა და იმავე დროს ძალაში შესვლას, აგრეთვე ითვალისწინებენ ინსპექციას მუდმივ საფუძველზე სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის უფლების უქონლად, შემუშავებულია არასაკმაოდ დეტალურად. საბჭოთა წინადადებებში, განაცხადა ლოიდმა, ნათქვამი არ არის, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საკონტროლო ორგანო, რა შემადგენლობით, რა პერსონალით და სხვ.. ამიტომ, მისი აზრით, ეს წინადადებანი უნდა გადაეცეს განიარაღების კომისიას. თვალში გეცემათ ამ საბაბის უსუსურობაც. ხომ ცნობილია, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ინგლის-ამერიკის ბლოკმა გენერალურ ასამბლეას თავს მოახვია თავისი რეზოლუცია ყალბი სახელწოდებით „მთელი შეიარაღებული ძალებისა და მთელი შეიარაღების მოწესრიგება, შეზღუდვა და დაბალანსებული შემცირება“, რომელიც აგრეთვე არ შეიცავს იმ დეტალებს, რომლებსაც ახლა დაჟინებით მოითხოვს ლოიდი. ცხადია, მთელი ეს ყალბი არგუმენტაცია ლოიდს დასჭირდა მხოლოდ იმისათვის, რომ როგორმე გაამართლოს თავისი მისწრაფება—ხელი შეუშალოს ასამბლეას მიიღოს გადაწყვეტილებანი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის ატომური იარაღის აკრძალვა, შეიარაღების შემცირება და ამ ღონისძიებებისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესება.

ამერიკა-ინგლისის ბლოკის ქვეყნების წარმომადგენლები, ილაშქრებენენ რა საბჭოთა წინადადებების მეორე პუნქტის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს კორეის პრობლემის უსწრაფეს მშვიდობიან მოწესრიგებას, ცდილობდნენ ამ პუნქტის მიღებაზე თავიანთი უარი იმით დაეფართ, რომ ახლა გენერალურ ასამბლეაში ამ საკითხზე ყოველგვარი მოლაპარაკება თითქოს ხელს შეუშლიდა პანმინჯონში წარმოებულ მოლაპარაკებას დაზავების შესახებ. მაგრამ ასეთი პოზიციის ნამდვილი მოტივები უნებლიეთ წამოაყრანტალა გომინდანელმა, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა წინადადება უარყოფილ უნდა იქნას, რადგან, როგორც მან თქვა „ჩვენი მიზანია ბოლომდე ვიბრძოლოთ კორეაშიო“. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ამერიკა-ინგლისის ბლოკს არა სურს ამერამად განიხილოს კორეის საკითხი. ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ განაგრძონ ომი კორეაში, რადგან ეს ხელსაყრელია ამერიკის მონოპოლიებისათვის, რომლებიც მდიდრდებიან კორეის ომით და ცდილობენ გადააქციონ კორეა ამერიკის შეერთებული შტატების კოლონად.

ეს ფრიად დამაჯერებლად ცხადყო თავის სიტყვაში ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა სეკანინოვამ. მან მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები უწევენ საბრალეს პანმინჯონის მოლაპარაკებას და ყოველგვარ ხელოვნურ დაბრკოლებას უქმნიან დაზავების შესახებ შეთანხმების მიღწევას. სეკანინოვამ პუნქტობრივად გაუკეთა ანალიზი საბჭოთა კავშირის ყველა წინადადებას და ყველა იმ ყალბ მოსაზრებას, რომლებსაც ამ წინადადებათა წინააღმდეგ აყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგრესიორული ბირთვის წარმომადგენლები, და ცხადყო, რომ საბჭოთა წინადადებანი ნაკარნახევია გულწრფელი მისწრაფებით — აღმოიფხვრას საერთაშორისო დაძაბულობა და უზრუნველყოფილ იქნას ხალხთა მშვიდობა და უშიშროება.

კომიტეტის დიდი ყურადღება მიიპყრო ეგვიპტის დელეგატის ფაზი-ბეის სიტყვამ. მან თქვა, რომ საბჭოთა წინადადებანი მოიცავენ მშვიდობის უზრუნველყოფის პრობლემების ფართო წრეს. ამ წინადადებებში დასახულია ბევრი ნამდვილად დიდმნიშვნელოვანი საკითხი. ფაზი-ბეი შეეხო ზოგიერთ მათგანს. მან მოაგონა სხდომის, რომ ამ დღეებში ეგვიპტის დელეგაციის მეთაურმა, ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა სალახ ედ-დინ-ფაშამ მკაცრად გააკრიტიკა ეგრეთწოდებული შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნის ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის პროექტი. ეგვიპტის დელეგაციის მეთაურმა დაგმო ეს ცდა როგორც ისეთი მისწრაფება, რომ ეგვიპტე და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები დააყენონ მომხდარი ფიქტის წინაშე და, მიეხედავად ახლო აღმოსავლეთის ხალხების ნებისა, შექმნან იქ ეგრეთწოდებული „ძალის რაიონი“. ფაზი-ბეიმ აგრეთვე თქვა, რომ ეგვიპტის დელეგაციის მეთაურმა განაცხადა: ახლო აღმოსავლეთის ხალხები ნებას არავის მისცემენ გამოიყენონ ისინი პაიკებად იმპერიალისტურ თამაშში და არ ითანამშრომლებენ არავითარ რეგიონალურ სისტემასთან, რომელიც არ იქნება დამყარებული ნამდვილ ამხანაგობაზე და სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემაზე.

მიუხედავად ამისა, განაგრძო ფაზი-ბეიმ, ეგრეთწოდებული შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნის გეგმის ავტორები კვლავ ებლაუფენ თავიანთ პოზიციას, რასაც მოწმობს, კერძოდ, კომუნიკე ტრუმენისა და ჩერჩილის შეხვედრის შესახებ. მაგრამ, თქვა მან, ეგვიპტე ამას არასოდეს არ დათანხმდება.

რაც შეეხება საბჭოთა წინადადებას, რომ დაუშვებელია სხვის ტერიტორიებზე ბაზების შექმნა და ეს შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასთან, განაცხადა ფაზი-ბეიმ, ჩვენი პოზიცია ამ საკითხში ორაზროვანი როდია. მაგალითად, ეგვიპტე, სხვა სახელმწიფოებს ნებას არ მისცემს ძალით, მისი თანხმობის მიუღებლად იქონონ სამხედრო ბაზები მის ტერიტორიაზე, ვინაიდან ეს არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და იწვევს ეგვიპტელი ხალხის მრისხანე პროტესტს.

ფაზი-ბეიმ სოლიდარობა გამოუცხადა საბჭოთა წინადადებას, რომ საჭიროა გაყვანილ იქნან უცხოთის მთელი ჯარები კორეიდან. სწორედ უცხოთის ჯარების იქ ყოფნა და უცხოთის გავლენა, თქვა მან, კორეის პრობლემის წამოჭრის მიზეზი. სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევას არასოდეს არ მოჰყოლია კარგი შედეგი, არამედ, პირიქით, ომი გამოუწვევია.

ეგვიპტის დელეგატმა აგრეთვე აღნიშნა საბჭოთა წინადადების იმ პუნქტების სერიოზული მნიშვნელობა, რომლებიც ეხება ატომური იარაღის აკრძალვას, შეიარაღების შემცირებასა და კონტროლის დაწესებას. მან აღნიშნა, რომ დასავლეთ სახელმწიფოთა დელეგაციები ამ წინადადებებს მიუღებენ წმინდა პროცედურული თვალსაზრისით. დასასრულ ფაზი-ბეიმ განაცხადა, რომ ეგვიპტის დელეგაცია მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის წინადადებას დიდ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, რადგან ეგვიპტე ხელმძღვანელობს იმით, რომ არასოდეს არ უნდა დაიკარგოს შესაძლებლობა და შემთხვევა მიღწეულ იქნას შეთანხმება დიდ სახელმწიფოთა შორის.

სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა ა. მ. ბარანოვსკიმ.

## ა. მ. ბარანოვსკის გამოსვლა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ინგლის-ამერიკის აგრესიული დაჯგუფების წარმომადგენლებმა ვერ გაბედეს პირდაპირ უარეყოთ საბჭოთა წინადადებანი, რომლებიც, მათი საკუთარი აღიარებითაც კი, ახლოვებენ ამ დაჯგუფებისა და სსრ კავშირის დელეგაციის თვალსაზრისს. ამიტომ მათ მიმართეს ტაქტიკურ მანევრს, რათა არ დაუშვან ამ წინადადებათა განხილვა კომიტეტში. მათ მოამზადეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ საბჭოთა წინადადებანი გადაეცეს განიარაღების კომისიას. მაგრამ რა საფუძველი არსებობს ამისათვის? არავითარი. ბ-ნ ლოიდს, რომელმაც ამ საკითხზე ორჯერ ილაპარაკა, არავითარი სერიოზული მოტივი არ მოუყვანია ისეთი ოპერაციის ასახსნელად. ლოიდმა თქვა, რომ კომისიაში საბჭოთა წინადადებების განხილვა კარგი დასაწყისი იქნება კომისიის მუშაობისათვისო. ესმოდა რა ამ უცნაური მოსაზრების არადამაჯერებლობა, ლოიდმა თავის მეორე სიტყვაში სცადა იმით განემარტა თავისი პოზიცია, რომ საბჭოთა წინადადებანი მოითხოვენ შესწავლას, რომ თითქოს ამ წინადადებებში გაურკვეველი დებულებებია.

მაგრამ რატომ არ უნდა იქნას საბჭოთა წინადადებანი შესწავლილი აქ, გენერალურ ასამბლეაში, ისე რომ დიდი ხნით არ გადაიდოს ამ სასწრაფო საკითხების განხილვა? სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებს რატომ არა სურთ ისე მოიქცნენ, როგორც მაშინ მოქმედებდნენ, როცა პოლიტიკური კომიტეტი მათს წინადადებებს იხილავდა? რატომ მოხდა, რომ ლოიდის აზრით, პოლიტიკური კომიტეტი აღარ არის შესაფერი ადგილი საბჭოთა წინადადებების განსახილველად?

ლოიდი ამაოდ ცდილობდა დავერწმუნებინეთ, რომ კომისიაში საკითხის გადაცემის შესახებ სამი დელეგაციის წინადადება თითქოს არ მოასწავებს იმის სურვილს, რომ საბჭოთა რეზოლუცია დასასმარონ. მაგრამ ყოველივე ეს, რაც მან შემდეგ თქვა, ამეღავნებს ინგლის-ამერიკის დაჯგუფების განზრახვას—გააჭიანუროს საბჭოთა წინადადებების განხილვა. რაკი გვაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა სბაბით შექმნილი ბევრი კომისიის საქმიანობის ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, უმოქმედობის დამახასიათებელი გამოცდილება, შეიძლება ეჭვი არ შეეტანოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციების ასეთი წინადადების მიზანია თავიდან მოიშორონ და დიდი ხნით მიჩქმალონ საბჭოთა კავშირის დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი, რომლებსაც სრულიად უშუალო

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ლენინმა დაიცვა და განავითარა ახალი ტიპის პარტიის თეორიული საფუძვლები — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, შემდგომ განავითარა მარქსისტული ფილოსოფია, რითაც ახალი ტიპის პარტიას, ბოლშევიკების პარტიას მისცა მძლავრი თეორიული იარაღი მარქსიზმის ყველა ჯურის მტრების წინააღმდეგ, ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ლენინის შრომებმა „რა ვაკეთოთ?“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ამხანაგ სტალინის შრომებთან ერთად — „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“, „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ და სხვ. ყოველმხრივ მომამზადეს ნიადაგი ახალი ტიპის პარტიის შესაქმნელად. „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიაში ჯერ კიდევ არასოდეს არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი არ ყოფილა ისე საფუძვლიანად მომზადებული იმისათვის, რომ გაფორმებულიყო პარტიად, როგორც ბოლშევიკური ჯგუფი“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 183-184).

1912 წლის იანვარში ბოლშევიკების პრაღის კონფერენციამ განდევნა მენშევიკები პარტიის რიგებიდან, სამუდამოდ მოულო ბოლო მენშევიკებთან ერთ პარტიაში ბოლშევიკების ფორმალურ გაერთიანებას და ბოლშევიკები პოლიტიკური ჯგუფიდან გააფორმა რუსეთის დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად (ბოლშევიკებისა). პრაღის კონფერენციამ დასაბამი მისცა ახალი ტიპის პარტიას, ლენინიზმის პარტიას, ბოლშევიკურ პარტიას.

მუშათა კლასის მტრებთან დაუნდობელ ბრძოლაში ლენინმა ამხანაგ სტალინთან მჭიდრო თანამეგობრობით გამოჭედა ნამდვილი მარქსისტული პარტია, ახალი ტიპის პარტია, თავისი შემადგენლობით მუშური, თავისი ხასიათით ინტერნაციონალური, თავისი მიზნებით კომუნისტური, თავისი მოქმედებით რევოლუციური, მშრომელებზე თავისი გავლენით მასობრივი, რკინისებური დისციპლინითა და ერთიანი ნებისყოფით შედუღაბებული, მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული პარტია.

1915 წელს მარქსიზმი გამდიდრდა ახალი აღმოჩენით. კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონის აღმოჩენით ლენინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იმპერიალიზმის პერიოდში სოციალიზმმა შეიძლება გაიმარჯვოს არა ერთდროულად ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, როგორც ამას მარქსისტები იმპერიალიზმამდელი კაპიტალიზმის პერიოდში ფიქრობდნენ, არამედ რამდენიმე, ანდა თუნდაც ერთ ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

„ეს იყო სოციალისტური რევოლუციის **ახალი** დამთავრებული თეორია, ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის, მისი გამარჯვების პირობების, მისი გამარჯვების პერსპექტივების თეორია, თეორია, რომლის საფუძვლებიც ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს დასახა ბროშურაში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 220).

ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის თეორიით შეიარაღებულმა ბოლშევიკების პარტიამ ლენინისა და სტალინის მეთაურობით გააერთიანა რევოლუციის ძალები — მუშათა კლასის თავგანწირულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის შეუერთა გლეხობის რევოლუციური ბრძოლა მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებისათვის, ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეროვნული თანასწორუფლებიანობისათვის. ამ შეთანხმებულმა ბრძოლამ გადაწყვიტა კაპიტალიზმის ბედი რუსეთში. 1917 წლის ოქტომბერში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ, დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ლენინურ-სტალინური სტრატეგიისა და ტაქტიკის ტრიუმფი იყო. მან დასაბამი მისცა ახალ ერას ჩვენი ქვეყნისა და მთელი კაცობრიობის ისტორიაში, დასაბამი მისცა კაპიტალიზმის დამხობისა და კომუნიზმის დამკვიდრების ერას.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენი პარტია „რუსეთის შიგნით გადატრიალების პარტიიდან... მშვიდობიანი მშენებლობის პარტიად გადაიქცა“ (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 117). ბოლშევიკების პარტია სათავეში ჩაუდგა მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს — საბჭოთა სახელმწიფოს. ლენინი და სტალინი ერთად იმუშავებდნენ ახალშობილ საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ ხაზს, მისი საქმიანობის ხასიათს, მუშაობის მეთოდებს. ლენინმა და სტალინმა ერთად შექმნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რაც ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება იყო.

ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო გახდა მუშათა კლასის მძლავრი იარაღი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის აღმოსაფხვრელად, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად, იმპერიალისტი დამპყრობლებისაგან მის დასაცავად.

ლენინისა და სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიამ, ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის უმძიმეს წლებში, გადალახეს ომით გამოწვეული ყოველგვარი სიძნელე და მტკიცე საფუძველი შეუქმნეს სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვ. ი. ლენინი ამხანაგ სტალინთან ხელიხელჩაკიდებული იბრძოდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის.

1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა ვ. ი. ლენინი. ლენინის გარდაცვალებამ დაამწუხრა ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს ყველა მშრომელი.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტიის მტრებმა — ტროცკისტებმა, ბუხარინელებმა და სხვა ნაძირალებმა გააძლიერეს ბრძოლა ლენინის მოძღვრების წინააღმდეგ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის წინააღმდეგ. მაგრამ ლენინის დროშა მტკიცედ წაიღო წინ ლენინის უახლოესმა თანამებრძოლმა და ერთგულმა მოწაფემ ამხანაგმა სტალინმა.

1924 წლის 26 იანვარს საბჭოების II საკავშირო ყრილობის სამგლოვიარო სხდომაზე ამხანაგმა სტალინმა ლენინის ცხედრის წინაშე პარტიის სახელით დადო დიადი ფიცი: მაღლა გვეჭიროს და წმიდად დავიცვათ პარტიის წევრის დიადი სახელი; თვალსაჩინოვით დავიცვათ ჩვენი პარტიის ერთიანობა; დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა; მთელი ძალღონით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი, განვამტკიცოთ და გავაფართოოთ რესპუბლიკათა კავშირი, განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი.

ეს იყო ბოლშევიკური პარტიის ფიცი თავისი მასწავლებლისა და ბელადის — ვ. ი. ლენინის წინაშე, რომელიც მარად იცოცხლებს. ამ ფიცს პარტია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ღირსეულად ასრულებდა და ასრულებს.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი ინდუსტრია, განხორციელდა ოქტომბრის რევოლუციის თანაბარი მნიშვნელობის რევოლუცია — წვრილი დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობა გადაყვანილ იქნა სოციალისტურ რელსებზე. აშენდა სოციალისტური საზოგადოება და ამჟამად წარმატებით ხორციელდება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ლენინისა და სტალ

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

დამოკიდებულება აქვთ საერთაშორისო ურთიერთობაში ახლანდელი დაძაბულობის შენელების ამოცანასთან. ეს შენელება კი არა სურთ ატლანტიკის ბლოკის მეთაურებს.

უპასუხა რა ბრაზილიის დელეგატის მტკიცებაზე, რომ საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი თითქოს უცვლელად იმეორებენ შეიარაღების „დაბალანსებული შემცირების“ საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის რეზოლუციისადმი საბჭოთა შესწორების ძირითად დებულებებს, ბარანოვსკიმ თქვა:

— ამ დოკუმენტების კეთილსინდისიერი შედარება საკმაოდ საკმაოებს ბრაზილიელის მტკიცებას. განსხვავება არის და ამასთან არსებითიც. ეს აღიარეს ჰოლანდიის, ნორვეგიის, ბელგიის და სხვა დელეგატებმა, რომლებიც გუშინ და დღეს გამოვიდნენ. შეთანხმების დაბრკოლების აღკვეთის მიზნით სსრ კავშირის დელეგაციამ, მთელი რიგი დელეგაციების სურვილის შესაბამისად, სერიოზული შენიშვნები და დაზუსტებანი შეიტანა თავის წინადადებებში, რომლებიც ეხება ატომური იარაღის აკრძალვას და ამ აკრძალვისადმი კონტროლის დაწესებას, აგრეთვე ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების გარანტიათა სისტემის საკითხს.

ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის პრესამ საბჭოთა წინადადებანი შეაფასა, როგორც ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტის საქმეში წინგადადგმული ახალი ნაბიჯი. მაგრამ, არ ეარჩევთ რა ჯერ ამ წინადადებათა არსს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა რეზოლუცია უთუოდ ეხება ძირითად და პრინციპულ საკითხებს, რომლებიც არ შეიძლება გადაეცეს არც ერთ კომისიას ისე, თუ ამ საკითხებზე მიღებულ არ იქნა სახელმძღვანელო მითითებანი. ასეთ მითითებათა მიუცემლად სრულიად უნაყოფო იქნებოდა ყოველი კომისიის მუშაობა ამ წინადადებებზე.

ბარანოვსკიმ მოაგონა სხდომას ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის ჯესუპის გამოსვლა 1951 წლის დეკემბრის დამდეგს დისკუსიაში ინსპექტირების პრობლემის შესახებ, რომელიც უნდა განახორციელოს ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირებისადმი საერთაშორისო საკონტროლო ორგანომ. მაშინ ჯესუპმა განაცხადა: „ახალმა კომისიამ უნდა შეადგინოს კონვენცია. ეჭვი არ არის, რომ გენერალურმა ასამბლეამ სახელმძღვანელო მითითებანი უნდა მისცეს კომისიას იმის შესახებ, თუ რა უნდა იქნას შეტანილი კონვენციაში“.

ამრიგად, თქვა ბარანოვსკიმ, ჯესუპი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ — პერიოდულ თუ მუდმივ საფუძველზე — ატომური იარაღის აკრძალვის შემოწმების პრინციპის დაწესების საკითხზე, ე. ი. იმ საკითხზე, რომელსაც საბჭოთა რეზოლუცია შეიცავს, უნდა მუშაობდეს გენერალური ასამბლეა და არა განიარაღების კომისია. მაგრამ თუ ვაღიარებთ, რომ ეს დებულება შეიძლება მივუყენოთ ერთ-ერთ საკითხს, რომელიც ეხება ატომური იარაღის აკრძალვას და ამ აკრძალვისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს მივიჩნიოთ, რომ ამ პრობლემის პრინციპულ მხარეს უნდა განიხილავდეს არა კომისია, თუნდაც მნიშვნელოვანი რწმუნებებით აღჭურვილი კომისია, არამედ უშუალოდ გენერალური ასამბლეა.

ბარანოვსკიმ აღნიშნა, რომ ეს იმის ერთადერთი მაგალითი როდია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები და მათი პარტნიორები სრულიად იცვლიან პოზიციას, როცა საქმე ეხება იმას, რომ მათ მიერვე გამოცხადებული პრინციპები შეეფარდოს საბჭოთა წინადადებებს. როგორც ცნობილია, ლოიდი დაჟინებით მოითხოვდა, რომ „შეიარაღების დაბალანსებული შემცირების“ შესახებ დასავლეთის სამი სახელმწიფოს წინადადებანი აუცილებლად განეხილათ პოლიტიკურ კომიტეტში და იმის წინააღმდეგი იყო, რომ ეს საკითხი კომისიაში გადაეტანათ. ახლა კი ბ-ნი ლოიდი განსაკუთრებული უპრინციპობით იცავს პირდაპირ საწინააღმდეგო თვალსაზრისს საბჭოთა რეზოლუციის მამრთა და ცდილობს, რომ ხასიათისა და გადაწყვეტის ვადის მიხედვით ისეთივე საკითხი, რომელიც პრინციპულ პრობლემებს ეხება, გენერალურ ასამბლეაში კი არ განიხილონ, არამედ კომისიას გადაეცეს.

სსრ კავშირის დელეგაციამ და მისმა მხარდამჭერმა დელეგაციებმა არა ერთხელ აღნიშნეს ხაზგასმით, რომ ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემასა და ამ აკრძალვისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ინგლის-ამერიკის დაჯგუფების წარმომადგენლები კი ცდილობდნენ ერთმანეთისათვის ჩამოეშორებინათ ეს ორი პრობლემა და დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ჯერ კონტროლი დაწესდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შემოღებულ იქნას ატომური იარაღის აკრძალვა. ისინი აცხადებდნენ, რომ ვერ დაეთანხმებიან იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ატომური იარაღის აკრძალვის გამოცხადება წინ უნდა უძღოდეს საერთაშორისო კონტროლის სისტემის დაწესებასა და განხორციელებას.

ახლანდელ სესიაზე ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის განხილვის დროს დასავლეთის სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები ისევ აკრძალვაზე თავიანთი თანხმობის პირობად იმას აცხადებდნენ, რომ საბჭოთა კავშირს აღარ მოეთხოვა ატომური იარაღის აკრძალვა მანამდე, სანამ არ შეიქმნება და მუშაობას არ დაიწყებს ასეთი აკრძალვის განხორციელებისადმი კონტროლის საერთაშორისო ორგანო. „ატომური იარაღის აკრძალვის გათვალისწინებიო, ატომის ენერგიისადმი ერთდროული კონტროლის დაწესების გზების“ განხილვის შესაძლებლობას ლოიდი აღნიშნავდა პოლიტიკურ კომიტეტში 1951 წლის 11 დეკემბერს წარმოთქმულ სიტყვაში. ბერუს • წარმომადგენელმა ბელაუნდემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ თუ აკრძალვა და შესრულების პროცესი გაერთიანებულ იქნება, ეს მოგვცემს ნამდვილი შესრულების გარანტიას.

ამრიგად, სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები და მთელი რიგი მათი მხარდამჭერი დელეგაციები პირდაპირ აღნიშნავდნენ, რომ ატომური იარაღის აკრძალვისა და კონტროლის დაწესების შესახებ ასამბლეის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და კონვენციის ხელმოწერისა და საკონტროლო აპარატის შექმნის გზით ამ კონტროლის ძალაში შესვლის ვადების იმ დაშორიშორების აღკვეთა, რასაც საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებდნენ, აღმოფხვრიდა ამ საკითხზე უთანხმოებას.

საბჭოთა კავშირის დელეგაციამ, რომელიც ცდილობს აღკვეთოს უთანხმოება ამ საკითხზე, თავის წინანდელ წინადადებებში შეიტანა ცვლილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადოს ახლა, ამ სესიაზე ატომური იარაღის აკრძალვა, აგრეთვე ამ აკრძალვისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესება, ამასთან სსრ კავშირის დელეგაცია ითვალისწინებს, რომ ატომური იარაღის აკრძალვა ძალაში შევა მაშინ, როცა სახელმწიფოები ხელს მოაწერენ კონვენციას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და როცა ამოქმედდება საერთაშორისო საკონტროლო მექანიზმი.

თუმცა გენერალური ასამბლეის მიერ ატომური იარაღის აკრძალვის გამოცხადება იმის მომასწავებელი არ იქნება, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური ბომბების წარმოება, მაგრამ 60 ქვეყნის დელეგაციების მიერ მიღებულ ასეთ გადაწყვეტილებას დიდი მორალური ძალა ექნება. გენერალური ასამბლეის ასეთი გადაწყვეტილება იქნებოდა სერიოზული ფაქტორი, რომელიც შეაჩერებდა ატომური იარაღის გამოყენებას.

შემდეგ ბარანოვსკი შეეხო საკითხს ინსპექციის სისტემის შესახებ, რომელზეც დღემდე არ მოხერხდა შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღწევა.

დასავლეთის სახელმწიფოთა დელეგაციები, თქვა მან, დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ უნდა არსებობდეს, როგორც ლოიდმა თქვა, ინსპექციის „განუწყვეტელი“ სისტემა. ლოიდმა განმარტა, რომ ამით იგულისხმება ინსპექციის „მუდმივი“ სისტემა.

რათა აღეკვეთა „იმის შიში, რომ სამი სახელმწიფოს წინადადება მოასწავებს სურვილს — გათვალისწინებულ იქნას თვითეული სამხედრო საწარმოში ინსპექტორების მუდმივი ყოფნა, რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ ყველა საწარმოო პროცესს“, ლოიდმა განაცხადა: „რა თქმა უნდა, ეს ჩვენი განზრახვა არ არის, თუმცა ჩვენ ადვილად ვამბობთ, რომ ატომის ენერგიის მიმართ საჭირო იქნება მუდმივი კონტროლის რაიმე ფორმა“. იგივე განაცხადეს სამი სახელმწიფოს რეზოლუციის დასარჩენმა ავტორებმაც.

ყოველივე იმის აღსაკვეთად, რაც აბრკოლებს ატომური იარაღის აკრძალვის ამოცანის სწორად გადაწყვეტას, სსრ კავშირის დელეგაციამ ახლა განავითარა თავისი წინანდელი წინადადებანი და თავის რეზოლუციაში შეიტანა დებულება იმის შესახებ, რომ საერთაშორისო საკონტროლო ორგანო ინსპექციას განახორციელებს მუდმივ საფუძველზე. იგულისხმება, რომ საკონტროლო ორგანოს უფლება არ ექნება ჩაერიოს სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. ინსპექციის უფლებათა ასეთ შეზღუდვას წინააღმდეგობა არ გამოუწვევია ატომური იარაღის აკრძალვისადმი მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესებისა საკითხში საბჭოთა პოზიციის არც ერთი მოწინააღმდეგის მხრივ.

თითქოს, ახლა ატომური იარაღის აკრძალვის გამოცხადებას ობიექტურად აღარაფერი აბრკოლებს იმ პოზიციის შედეგად, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ დაიკავა იმ საკითხებში, რომლებიც ყველაზე მეტ დავასა და უთანხმოებას იწვევდნენ. ეს დაბრკოლებანი აღკვეთა ახლა საბჭოთა წინადადებებმა. მაგრამ დაბრკოლებანი კვლავ ჩნდება და მათ ქმნის ინგლის-ამერიკის დაჯგუფება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ დაჯგუფებას არამც და არამც არა სურს არც ატომური იარაღის აკრძალვა, არც საერთაშორისო კონტროლი. ფრიად საგულისხმოა, რომ პერუს დელეგატი, რომელიც წინათ ამბობდა, თუ „ატომური იარაღის აკრძალვა და კონტროლის განხორციელების პროცესი ვაერთიანდა, განხორციელების ეს პროცესი საქმით გარანტირებული იქნებაო“, ახლა, როცა სსრ კავშირის დელეგაცია მზად არის მიიღოს ეს დებულება,—რასაც ის, როგორც ჩანს, არ მოელოდა,—ეძებს ახალ საბაბს და პოულობს ახალ დაბრკოლებებს საბჭოთა წინადადებების მიღების წინააღმდეგ. ახლა იგი მოითხოვს, რომ სსრ კავშირმა მიიღოს ინგლის-ამერიკის წინადადებანი ეგრეთწოდებული შეიარაღების შემცირების შესახებ და ამას უკავშირებს ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ საბჭოთა რეკომენდაციების მიღებას.

ბარანოვსკიმ აღნიშნა, რომ „უსაფუძვლოა ცდები—უარყოფილ იქნას საბჭოთა წინადადებანი იმის მომიზეზებით, რომ ამ წინადადებათა ერთი ნაწილი საბჭოთა კავშირმა წინათაც შემოიტანა გენერალური ასამბლეის განსახილველად.

ეს მართლაც ასეა, თქვა ბარანოვსკიმ, მაგრამ განა ამ სიმტკიცეს, რომლითაც სსრ კავშირი იცავს თავის წინადადებებს მთელი რიგი წლების განმავლობაში, შეუძლია შეამციროს მათი მნიშვნელობა? პირიქით, ეს მხოლოდ უფრო ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ მშვიდობის განმტკიცების გადაუდებელ საკითხებს გზას უხშობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგრესიული ბირთვი. სსრ კავშირის განმეორებითი წინადადებანი ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვისადმი კონტროლის დაწესების შესახებ, კორეაში სამშვიდობო მოქმედების შეწყვეტის, ერთი წლის განმავლობაში ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირების, ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის ჰაქტის დადების შესახებ და საბჭოთა რეზოლუციაში შეტანილი სხვა წინადადებანი იმით არის ნაკარნახევი, რომ ძლიერდება გამალებული შეიარაღება, რომ ატლანტიკის ბლოკის ქვეყნები არმიებს აკოწიწებენ სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე თავდასასხმელად, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო შეთანხმებანი, ეწევა იაპონიისა და გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას და თავის სამხედრო ფორპოსტებად და ახალი ომისათვის საზარბაზნე ხორცის მომწოდებლად აქცევს ათობით ქვეყანას.

უკრაინის სსრ დელეგაციას, თქვა დასასრულ ბარანოვსკიმ, დიდმნიშვნელოვნად და გადაუდებლად მიაჩნია სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებანი ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. ამიტომ უკრაინის სსრ დელეგაცია მხარს დაუჭერს გენერალური ასამბლეის მიერ ამ წინადადებათა მიღებას. ამასთან უკრაინის სსრ დელეგაცია იმის წინააღმდეგი იქნება, რომ სსრ კავშირის წინადადებანი განსახილველად გადაეცეს განიარაღების კომისიას ისე, რომ ამ კომისიას არ მიეცეს პრინციპული სახელმძღვანელო მითითებანი საბჭოთა წინადადებების შესახებ.

# ა. ი. ვიშინსკის საუბარი ფრანგ მეცნიერთა—სორბონის პროფესორთა დელეგაციასთან

**პარიზი,** 16 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VI სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურს ა. ი. ვიშინსკის ამ დღეებში ეწვია ფრანგ მეცნიერთა — პარიზის უნივერსიტეტის პროფესორთა ჯგუფი, რათა გადაეცა წერილის ტექსტი, რომელშიც მეცნიერთა ჯგუფმა გამოთქვა თავისი შეხედულებანი შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის იმ საკითხებზე, რომლებსაც გენერალური ასამბლეის სესია განიხილავს.

ფრანგ მეცნიერებთან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ავრეთვე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ი. ა. მალიკმა და დელეგაციის წევრებმა ა. ა. სობოლევმა და ა. პ. პავლოვმა.

ფრანგ მეცნიერთა წარმომადგენელმა პროფესორმა ვაგნერმა თქვა, რომ მათი ჯგუფი შედგება მეცნიერების ადამიანთა, პროფესორთა და მკვლევართაგან, რომლებიც გრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას ახალგაზრდობის აღზრდისათვის, რომელსაც მომავალი ეკუთვნის.

— სწორედ ამან, — თქვა ვაგნერმა,—მოგვიყვანა აქ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება დაშვებულ იქნას განხეთქილება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. იმის წარმოდგენაც კი, რომ შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანთა მასობრივი ჟლეტის იარაღი, შიშისა და პროტესტის გრძნობას იწვევს მოსახლეობის ყველა ფენაში. ჩვენ გავეცანით ომის თავიდან აცილების გეგმებს და გარკვეულ დასკვნამდე მივედით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გენერალური ასამბლეისათვის წარდგენილი ვერც ერთი გეგმა ვერ იძლევა მშვიდობის სრულ გარანტიას, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა გეგმა ამ მხრივ უკეთესია.

პროფესორმა ვაგნერმა ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცნიერთა შორის, რომლებიც შედიან იმ ჯგუფში, რომლის სახელითაც იგი ლაპარაკობს, არიან სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებათა ადამიანები, მაგრამ ყველას აერთიანებს მშვიდობის იმედი.

ვაგნერმა განაცხადა, რომ ისინი უკვე ეწვევნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას, სადაც ისინი მიიღო.. დელეგაციის ერთ-ერთმა მდივანმა.

ვიშინსკიმ მადლობა გადაუხადა სტუმრებს, რომ მათ გამონახეს დრო და შესაძლებლობა სწვეოდნენ საბჭოთა დელეგაციას. ეს ცხადყოფს, თქვა ვიშინსკიმ, რომ მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ეს შეხვედრა. რაც შეეხება იმ მნიშვნელობას, რასაც ანიჭებს ფრანგ მეცნიერთა დარბაზობას სსრ კავშირის დელეგაცია, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დელეგაციას ესოდენ მნიშვნელოვან, ესოდენ აქტუალურ თემებზე უნდა ელაპარაკონ სახელმწიფოთა პასუხისმგებელი წარმომადგენლები, რომლებიც შედიან გენერალური ასამბლეის დელეგაციებში, და არა მდივნები.

ვიშინსკიმ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სტუმართა შორის არიან სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის ადამიანები, ვინაიდან მშვიდობის საკითხი აღელვებს ყველა ადამიანს მათი შეხედულების მიუხედავად, ყველა პატიოსან ადამიანს, რომელსაც უყვარს თავისი ხალხი, თავისი სამშობლო და პატივს სცემს სხვა ხალხთა უფლებებსა და ინტერესებს.

ვიშინსკიმ დაწვრილებით გააშუქა საბჭოთა კავშირის პოზიცია უმნიშვნელოვანეს საკითხებში, რომელთა გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია არსებული საერთაშორისო დაძაბულობის აღმოფხვრა, ახალი ომის თავიდან აცილება და პატიოსანი საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება.

სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა უკანასკნელი წინადადებებისადმი ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ და ამ თემაზე მთელი რიგი შეკითხვები მისცეს საბჭოთა დელეგაციის მეთაურს.

ვიშინსკიმ გააშუქა ამ წინადადებების, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნების დელეგაციების მიერ ამ წინადადებათა საწინააღმდეგო აზრების არსი. მან სტუმრებს გადასცა აგრეთვე საბჭოთა წინადადებების ფრანგული ტექსტი.

გამოთხოვებისას პროფესორმა ვაგნერმა მთელი ჯგუფის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა ვიშინსკის გულთბილი მიღებისა და იმ ვრცელი განმარტებისათვის, რომელიც მიიღო მისგან გენერალურ ასამბლეაზე საბჭოთა დელეგაციის პოზიციის შესახებ. მან განაცხადა, რომ იღებს საბჭოთა წინადადებების ტექსტს როგორც დოკუმენტს, რომელიც იძლევა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის იმედს.

# ირან-ინგლისის ურთიერთობის გამო

**თეირანი,** 15 იანვარი. (საკდესი). ირანის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გუშინ მოხდა ირანის პრემიერ-მინისტრ მოსადიკის შეხვედრა ინგლისის ელჩთან ირანში შეპერდთან. ამ შეხვედრის დროს, რომელიც, როგორც გაზეთები აღნიშნავენ, უკიდურესად დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, შეპერდმა მოითხოვა, რომ ირანის მთავრობამ უკან წაიღოს თავისი ნოტა ირანში ინგლისის საკონსულოების დახურვის შესახებ. მოსადიკმა განუცხადა, რომ ეს ნოტა გაეგზავნა მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით და რომ შეპერდის სურვილი შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას მხოლოდ სხვა მთავრობის მიერ იმ შემთხვევაში, თუ მეჯლისი უნდობლობას გამოუცხადებს მოსადიკის მთავრობას.

ირანის პრემიერ-მინისტრმა ავრეთვე უარყო შეპერდის პროტესტი თეირანში 12 იანვარს რეიტერის საგენტოს თანამშრომლის, ირანის ქეშეშერდომ მკრტიჩიანის (მკრტიჩიანი უკანასკნელ ხანს ცვლიდა ირანიდან გასახლებულ რეიტერის საგენტოს მუდმივ კორესპონდენტს გერმანს) დაპატიმრების გამო ირანის ინტერესების საწინააღმდეგო ყალბი ცნობების მიწოდებისათვის.

მოსადიკმა განუცხადა ინგლისის ელჩს, რომელიც მკრტიჩიანის განთავისუფლებას მოითხოვდა, რომ მას არაფერი არ შეუძლია გააკეთოს, რადგან მკრტიჩიანის განთავისუფლება დამოკიდებულია სასამართლო ხელისუფალთა გადაწყვეტილებაზე.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 17 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შეიარაღებანი ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე ეწევიან თავდაცვითს ბრძოლებს და მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

16 იანვარს დასავლეთისა და ცენტრალური ფრონტების ცალკეულ უბნებზე მოწინააღმდეგეს მრავალი ტანკისა და არტილერიის დახმარებით გააფთრებული იერიშები მოჰქონდა სახალხო ჯარების პოზიციებზე. მოწინააღმდეგის იერიშები მოგერიებულ იქნა, ამასთან მას დიდი ზარალი მოუვიდა.

აღმოსავლეთის ფრონტზე განსაკუთრებულ ცვლილებები არ მომხდარა. ამ ფრონტის ცალკეულ უბნებზე საარტილერიო სროლა წარმოებდა.

16 იანვარს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 8 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ვონსანის, მუნჩხონის, ნამფხოსა და ანიაკის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვაში.

## ინდოეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის განცხადება

**ბომბეი,** 17 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნეიშნლ სტანდარდი“ იუწყება, ინდოეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა აჯოი გზოშმა მადრასში გამოსვლისას განაცხადა, რომ პროგრესულ პარტიებს დიდი შესაძლებლობა აქვთ ჩამოაყალიბონ კოალიციური მთავრობანი ტრავანკორ-კოჩინის, მადრასისა და ჰაიდერაბადის შტატებში და, შესაძლოა, დასავლეთ ბენგალიის შტატშიც. კომუნისტური პარტია იბრძოლებს შეთანხმებული პროგრამის საფუძველზე ყველა პროგრესული პარტიისა და შტატების საკანონმდებლო კრებებში არჩეული ცალკეული პირების გაერთიანებული ფრონტის შექმნისათვის. „ჩვენ დარწმუნებული ვართ, — განაგრძო გზოშმა,— რომ სხვადასხვა პარტიები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობენ, შეთანხმდებიან პროგრამა-მინიმუმის შემდეგ პუნქტებზე: ყველა სამოქალაქო თავისუფლების სრული აღდგენა; აგრარული რეფორმის განხორციელება; პროვინციების შექმნა ამა თუ იმ ენის გავრცელების საზღვართა საფუძველზე; მუშათა ხელფასის მინიმუმის დაწესება; პროფკავშირების უფლებათა გარანტია“.

დასასრულ გზოშმა თქვა: „არჩევნებში პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის მთელ რიგ ხელმძღვანელთა დამარცხება იმას მოწმობს, რომ ხალხი არ ეთანხმება იმ პოლიტიკასა და მეთოდებს, რომლებსაც ეს პარტია იყენებს.

## ფრანსიორდანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

**ტელ-ავივი,** 15 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „კოლ ჰაამი“ იუწყება, ამ დღეებში ტრანსიორდანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ხალხისადმი მოწოდება—იბრძოლოს ტრანსიორდანიის კომპარტიის ლიდერის ნასარის განთავისუფლებისათვის. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ამანის ხელისუფალნი აპირებენ გამოიყენონ ნასარის წინააღმდეგ 1947 წლის განსაკუთრებული კანონი, რომელიც მიმართულია კომუნისტების წინააღმდეგ. ტრანსიორდანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ ამანის ხელისუფალნი ემუქრებიან ნასარს 15 წლის კატორღით და რომ მხოლოდ „ტრანსიორდანიის ხალხის ბრძოლა მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით შეძლებს ჩაშალოს ეს საზიზღარი განზრახვა“.

როგორც „კოლ ჰაამი“ აღნიშნავს, ტრანსიორდანიაში გაძლიერდა მასობრივი მოძრაობა ნასარის დასაცავად. 17 დეკემბერს გამოთქვა მისი დაცვის სურვილი. მისი განთავისუფლებისათვის მოძრაობამ ისეთი ფართო გაქანება მიიღო, რომ ამანის გაზეთები იძულებული არიან გამოაქვეყნონ ცნობები ნასარის საქმის გარჩევის მიმდინარეობის შესახებ. გაზეთი „ალ-ჰავადიტი“ იუწყება, რომ დაპატიმრებისა და გამოძიების დროს ნასარმა და მისმა ამხანაგებმა სიმტკიცე გამოიჩინეს.

## მოსადიკის განცხადება

**პრაღა,** 17 იანვარი. (საკდესი). ტელეგრაფის საგენტომ გადასცა შინაარსი ირანის პრემიერ-მინისტრის მოსადიკის საუბრისა ეგიპტის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის შექმნის მოსამზადებელი კომიტეტის გენერალურ მდივან იუსუფ ჰელმისთან.

საუბრის შინაარსი 9 იანვარს გამოქვეყნდა ირანის მშვიდობის მომხრეთა საზოგადოების ორგანო გაზეთ „მასლაჰათში“. ჰელმის შეკითხვაზე, რას ფიქრობს მოსადიკი ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა მომავალი რეგიონალური კონგრესის შესახებ, მოსადიკმა უპასუხა: „ასეთი კონფერენციები მუდამ სასურველია. უეჭველია, რომ ასეთი კონგრესის მოწვევა ეფექტიანი დახმარება იქნება ამ ქვეყნების ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის“.

## ინგლისის ვაჭრობის ყოფილი მინისტრის ვიდსონის განცხადება

**ლონდონი,** 17 იანვარი. (საკდესი). როგორც ასოშიეიშნ პრესის საგენტო იუწყება, ინგლისის ვაჭრობის ყოფილმა მინისტრმა ლეიბორისტმა ჰაროლდ ვილსონმა 16 იანვარს ნოუსლში (ლანკაშირი) წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენ, შესაძლოა, მოწმენი გავხდეთ სურსათ-სანოვაგის ისეთი დიდი გაძვირებისა, რაც არ მომხდარა იმ შიმშილობის შემდეგ, რაც 100 წლის წინათ მძვინვარებდა ირლანდიაში“.

## სახალხო დემონსტრაციები ჟუნისში

**პარიზი,** 17 იანვარი. (საკდესი). როგორც პარიზის დილის გაზეთები იუწყებიან, გუშინ ტუნისში გაიმართა მშრომელთა დემონსტრაციები საფრანგეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით. გაზეთი „ლიბერასიონი“ წერს, რომ დიდი დემონსტრაციის დროს ქალაქ ბიზერტაში მშრომელებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც დაიჭრა 40 კაცი. გაზეთი იუწყება, რომ პოლიციის ამ ახალი პროვოკაციის წინააღმდეგ გამოვიდა ტუნისის მშრომელთა პროფკავშირების საყოველთაო გაერთიანება. მშრომელთა მანიფესტაციები გაიმართა აგრეთვე ქალაქებში ბეჟაია და მატერში. ქალაქ ტუნისში ბეის სასახლის წინ გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 30 ათასმა ადგილობრივმა მცხოვრებმა.

## ნ. ვ. გოგოლის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტში მიღებული ცნობებით, აფხაზეთის რესპუბლიკურ, აჭარის ასსრ სახელმწიფო საჯარო, სამხრეთ ოსეთის საოლქო, ქუთაისის სახელმწიფო საჯარო, ჭიათურის საქალაქო და სოფლების სარაიონო ბიბლიოთეკებში მოწყობილია ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები. გარდა ამისა, აღნიშნულ ბიბლიოთეკებში მკითხველთათვის სისტემატურად აწყობენ გოგოლის რჩეულ ნაწარმოებთა ხმამაღლა კითხვას და საუბრებს.

მაიაკოვსკის სარაიონო, სამაგვარო და სასოფლო ბიბლიოთეკებში მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა, მიძღვნილი ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

მაიაკოვსკის რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებასთან არსებული ლექტორთა ჯგუფის ლექტორები აბზადებენ ლექცია-მოხსენებებს ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავი დღისათვის კარგად ემზადებიან აგრეთვე წულუკიძის, თიანეთის, ყვარლის, ზესტაფონის და სხვა რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

**ჭიათურა.** (ხაკ. კორ.). მაღაროებში, საწარმო-დაწესებულებებში და სკოლებში სისტემატურად ეწყობა ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლექცია-მოხსენებები და საუბრები, ბიბლიოთეკებში მოეწყო ნ. გოგოლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები, ეწყობა მკითხველთა კონფერენციები.

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში აწყობენ დიდი მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოს. თეატრის კოლექტივი საიუბილეო დღეებისათვის ამზადებს სცენებს ნ. გოგოლის „რევიზორიდან“, მოეწყობა ნ. გოგოლის თხზულებათა მხატვრული კითხვა და სხვ. საქალაქო გაზეთი საიუბილეო დღეებისათვის ამზადებს სპეციალურ ნომერს.

## გ. ლეონიძის ეპოპეა „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“ ფაჯიკურ ენაზე

**ქ. სტალინაბადი** (ტაჯიკეთის სსრ). ტაჯიკურ ენაზე გამოვიდა გიორგი ლეონიძის ეპოპეა — „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“. პოემა თარგმნა პოეტმა მუხინსინ ამინზადემ, წიგნის რედაქტორია პოეტი მირსაიდ მირშაქარი.

## დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

**პირველი გვერდი** — მოწინავე — მზრუნველობით ვზრდოთ წარმოების ნოვატორები.

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში. ლენინის დღეების წინ.

თბილისელი დაზგათმშენებლები მზარს უტერენ მოსკოველი ნოვატორების თაოსნობას, თამარ ყუფუნიას